

# სამეცნიერო აზრი

საერთაშორისო ჟურნალი

I

2012

International Journal Scientific Judgement



სამეცნიერო აზრი

علم و اندیشه

Scientific Judgement

I

2012  
1391

**The materials and reviewed articles of the Georgian-Iranian joint symposium, held in the format of ‘the Dialogue of Civilizations’, are published in the journal ‘Scientific Judgement’.**

نشریه علم و اندیشه حاوی مقالات کنفرانس "گفتگوی فرهنگها" که در چارچوب همکاریهای علمی ایرانی-گرجی برگزار شده است، می باشد.

შურნალ „სამეცნიერო აზრში“ იმექდება „ცივილიზაციათა დიალოგის“ ფორმატით ჩატარებული ქართულ-ირანული ერთობლივი სიმპოზიუმების მასალები და სამეცნიერო ხასიათის რეცენზირებული სტატიები.

**რედაქციის მისამართი:**

თბილისი, ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილი, 65, ალმუსტაფა წარმომადგნელობის სამეცნიერო განყოფილება.  
ირანის ისლამური რესპუბლიკა, ყუმი-მოალიმის ქუჩა;

ტელ: 593346113, 599452817; 577717811  
ფაქსი: +995-32-88321616; 88321414

ელ-ფოსტა: [andisheh@taghrib.org](mailto:andisheh@taghrib.org); [sr.international.journal@gmail.com](mailto:sr.international.journal@gmail.com)

نشانی: تفلیس، پونی چالا، شماره 65، دفتر نمایندگی جامعه المصطفی، واحد پژوهش

تلفن: 593346113-599452817 დონერ: 00992188321414-88321414

جمهوری اسلامی ایران-قم- خیابان معلم ص پ 439- تلفن 0098251717222-00982517172415

email: [international-journal@mail.ru](mailto:international-journal@mail.ru)

[sr.internationa.journal@gmail.com](mailto:sr.internationa.journal@gmail.com)

© ქართული უნივერსიტეტი, ალ მუსტაფა საერთაშორისო  
უნივერსიტეტი

ISSN

## "სამეცნიერო აზრის" სარედაქციო კოლეგია:

მოპამმადრეზა ქალან ფარიბაი (მთავარი რედაქტორი),  
სერგო ვარდოსანიძე (ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ  
უნივერსიტეტის რექტორი),  
ტარიელ ფუტკარაძე (ქართულ უნივერსიტეტის ქართველოლოგის  
ცენტრის ხელმძღვანელი, რედაქტორი),  
მეპლი რაჯაი ნია (ალმუსტაფას უნივერსიტეტის პროფესორი),  
ვაჟა გურგენიძე (კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი),  
მოპამმად ალი ჰაჯი დეპაბადი (ალმუსტაფას უნივერსიტეტის  
პროფესორი),  
გიორგი ლობჟანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი),  
სეიდ მოპსენ ჰოსეინი (ლურესთანის უნივერსიტეტის პროფესორი),  
ზურაბ ბრაგვაძე (კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი),  
ვლადიმირ ვახტანგაძე (საქართველოს სასულიერო აკადემიის  
პროფესორი),  
თეიმურაზ თათარიშვილი (საქართველოს სასულიერო აკადემიის  
პროფესორი),  
ეზოდინ რეზანეჟადი (ალმუსტაფას უნივერსიტეტის პროფესორი),  
ნომადი ბართაია (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი),  
თამარ ლომაძე (ინგლისურენოვანი ტექსტების რედაქტორი).

## შურნალი იპეჭდება პროფესორი ალირეზა არაფის მზრუნველობით

**ტექნიკური რედაქტორები:** რამინ იგიდოვი, ფირდოუს კასიმოვი, მარია  
დარჩიაშვილი, ოქტავი ქაზუმოვი.

هیئت تحریریه نشریه:

محمد رضا کلان فریبا (سردیر)

سرگو واردوسانیدزه (رئیاست دانشگاه سنت آندریا)

تاریل پوتکارادزه (ریاست بخش گرجی شناسی دانشگاه سنت آندریا)

مهدی رجایی نیا (استاد دانشگاه جامعه المصطفی)

واژا گورگانیدزه (استاد دانشگاه فققاز)

محمد علی حاجی ده آبادی (استاد دانشگاه جامعه المصطفی)

گیورگی لوبرانیدزه (استاد دانشگاه جاواخیشویلی)

سید محسن حسینی (استاد دانشگاه لرستان)

زوراب براغوادزه (استاد دانشگاه قفقاز)

ولادیمیر واختانگادزه (استاد آکادمی حوزه تفلیس)

تیموراز تاتاریشویلی (استاد آکادمی حوزه تفلیس)

عز الدین رضانژاد (استاد دانشگاه جامعه المصطفی)

نمادی بارتایا (استاد دانشگاه کوتاییسی)

### Editorial Board of 'Scientific Judgement':

**Prof. Mohammad Reza Kalandaribaie** (editor-in-chief),

**Prof. Dr. Sergo Vardosanidze** (Rector of Saint Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia),

**Prof. Dr. Tariel Putkaradze** (head of the Kartvelology centre of the Georgian University, editor),

**Prof. Dr. Rejaie** (Professor of the Al-Mustafa International University),

**Prof. Dr. Vaja Gurgenidze** (Professor of the Caucasus University),

**Prof. Dr. M. A. Haji Deh Abadi** (Professor of the Al-Mustafa International University),

**Prof. Dr. Giorgi Lobjanidze** (Professor of the I. Javakhishvili Tbilisi State University),

**Prof. Dr. S.M. Husaini** (Professor of Lorestan University of Iran),

**Prof. Dr. Zurab Bragvadze** (Professor of Caucasus University),

**Prof. Dr. Vladimir Vakhtangadze** (Professor of the Theological Academy of the Georgia),

**Prof. Dr. Teimuraz Tatarashvili** (Professor of the Theological Academy of Georgia),

**Prof. Dr. A. Reza Nejhad** (Professor of the Al-Mustafa International University),

**Prof. Dr. Nomadi Bartaia** (Professor of the Kutaisi University).

**Dr. Tamar lomadze** (editor of the English texts)

**The journal is published under the auspices of Professor Dr. Ali Reza A'arafi**

### Technical editors:

Ramin Igidov, Firdous Gasimov, Maria Darchiashvili, Oktai Kazumov.

## **სახელითა უფლისამთა**

კაცობრიობის ორ უდიდეს ღვთისმიერ საზოგადოებას - ისლამის და ქრისტიანობის მიმდევარ ხალხებს - შორის არსებული საერთო ღირებულების პატივისცემის ფონზე, აუცილებელია "ცივილიზაციათა დიალოგის" ახალ საფეხურზე აყვანა და უწყვეტი დიალოგით ხალხების შემდგომი დაახლოება. ხალხთა შორის არსებული კეთილგანწყობა მეცნიერებს გვავალდებულებს ჯანსაღი გარემო შევქმნათ ურთიერთგაგებისა და აზრთა გულწრფელი გაზიარებისათვის. სწორედ ამ მიზნის განხორციელებისთვის ჩატარდა ქართველ და ირანელ მეცნიერთა რამდენიმე ერთობლივი სამეცნიერო კონფრენცია, რომელთა მასალები გამოქვეყნდება წინამდებარე უურნალში.

მეცნიერებს, ზოგადად, საზოგადო მოღვაწეებს ვთხოვ, შემოგვიერთდნენ და თავიანთი წვლილი შეიტანონ კულტურათა დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის გაზრდის პროცესში.

აქვე, უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ყველა ორგანიზატორს, სამეცნიერო სტატიის ატორებს, მუსლიმ და ქრისტიან მოაზროვნებს, რომელთაც სურთ კაცობრიობის სიკეთე. სამყაროს გამჩენს ვთხოვთ, მათ მეტი წარმატება ჰქონდეთ.

**დოქტორი მოჰამმად რეზა ქალან ფარიბაი**

### با اسمه تعالی

وجود بستر های مناسب برای تفاهم و تبادل افکار و اندیشه ها در میان ملت ها و مکاتب فکری، صاحبان اندیشه را بر آن می دارد که همواره داشته های علمی و اندوخته های فکری خویش را بر طبق اخلاقن گذاشته و نسبت به تعامل علمی با دیگر انسان ها ، اندیشه کنند. نشر مجلات علمی پژوهشی، زمینه ای است که جهت ایجاد بستر مناسب برای تحقیق اهداف مورد نظر، طراحی شده و در اختیار جامعه علمی قرار می گیرد. ایجاد فضای مناسب جهت ارائه کلیه تولیدات علمی ، گام بزرگی برای تسهیل فرآیند دست آوردهای علمی است. نشر و گسترش اطلاعات در فضای علمی مرا برآن میدارد که در راستای تقویت اشتراکات بنیادی میان دوین بزرگ و تاثیرگذار الهی در جامعه بشری یعنی اسلام و مسیحیت و تقریب عرصه های علمی و اجتماعی به بازسازی مجده و مستمردر حوزه گفتمان و متد های نگارشی به پردازیم. به همین دلیل چندین همایش مدون گفتگو میان شخصیت های علمی اسلام و مسیحیت ارتتوکس در طی سال های تا 2013 طراحی و اجرا گردید و محتوای آن نیز در آثار مکتوب بویژه این نشریه علمی 2010 و فاخر تقدیم خوانندگان گردیده است. در این راستا از کلیه صاحبان قلم و شخصیت های برجسته علمی دعوت می شود با عضویت در این سامانه ضمن پیوستن به شبکه سراسری تولیدات علمی، مرا در اجرای رسالتی که بر دوش داریم، یاری نمایند. جا دارد از همکاری همه دست اندکاران نویسندها، متفکران و دوست داران انسانیت و تمدن انسانی از میان دانشمندان مسلمان و مسیحی که این مجموعه را یاری می رسانند، سپاسگذاری کنم و از خالق هستی برای آنان توفيق بیشتر طلب نمایم.

سر دیر: محمد رضا کلان فریبایی

### In the Name of God

For two greatest religious societies – followers of Islam and Christianity, who respect common values of each other, it is necessary to take a new step towards ‘the dialogue among civilizations’ and to contribute to the process of bringing peoples together by means of constant dialogues. The benevolence among the peoples obliges us, the scientists, to create healthy atmosphere for mutual understanding and sincere sharing of each other’s opinions. This was the reason why several joint scientific conferences were held by Georgian and Iranian scientists, whose materials will be published in the following journal.

We urge scientists and public figures, in general, to join us and to contribute to the dialogue of cultures and to the process of enhancing mutual respect.

We would hereby like to thank all the organizers, authors of the scientific articles, Muslim and Christian thinkers, who strive for the good of mankind. I ask the Creator for more success to them.

Professor Mohammad Reza Kalan Faribaei

კავკასიისისა და მისი მიმდებარე რეგიონის სახელმწიფოებში - საქართველოში, ირანში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში/ჩრდილო კავკასიაში - მცხოვრებ მეცნიერებს შეგვიძლია, ერთობლივი კვლევებისა თუ სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებით გავააქტიუროთ ენობრივი, ეთნიკური და რელიგიურ-კულტუროლოგიური კვლევები ქართულ-ირანული, ქართულ-ჩრდილოკავკასიური, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-აზერბაიჯანული ისტორიული ურთიერთობების მიმართულებით; სწორედ ერთობლივი კვლევებითა და გულწრფელი თანამშრომლობით შეეწყობა ხელი ჩვენს ხალხებს შორის მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის შეუქცევადობას.

შურნალის სარედაქციო კოლეგია იმედოვნებს, რომ სამეცნიერო ხასიათის ახალი რამდენიმეენოვანი გამოცემა საინტერესო მასალებს მიაწვდის როგორც მეცნიერებით დაინტერესებულ პიროვნებებს, ასევე ფართო საზოგადოებას.

### პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე

Joint scientific forums and journals may become an interesting arena for Christian and Muslim scientists.

We, the scientists living in the states of the Caucasus and nearby regions - Georgia, Turkey, Azerbaijan, Armenia, Iran and Russia/North Caucasus are able to activate linguistic-ethnic and culturological researches in the direction of Georgian-Iranian, Georgian-North Caucasian, Georgian-Armenian, Georgian-Turkish and Georgian-Azeri historical relationship by means of organizing joint researches and scholarly forums. The abovementioned joint researches and sincere cooperation will ensure the irreversibility of peace and mutual respect among our peoples.

The editorial board of the journal hopes that the new multilingual scientific publication will provide interesting materials to people interested in science as well as to general public.

**Prof. Dr. Tariel Putkaradze**

مامحاقان منطقه قفقاز و ملتهای نواحی همچوar: گرجستان، ایران، ترکیه، آذربایجان، ارمنستان، روسیه و قفقاز شمالی، از طریق طراحی و برگزاری پژوهشی مشترک و همکاریهای علمی میتوانیم تحقیقات زبانی، نژادی، دینی و فرهنگی ایرانی-گرجی، گرجی-قفقاز شمالی، گرجی-ارمنی، گرجی-ترکی، گرجی-آذربایجانی را در زمینه پیوندها و مناسبات تاریخی فعال نماییم. به درستی با تحقیقات مشترک و همکاریهای صادقانه است که میتوانیم به صلح و دوستی و احترام مقابل مابین ملتهایمان مساعدت نماییم. هیئت تحریریه دوفصلنامه امیدوار است از طریق انتشار این نشریه مطالب ارزشمند، جدید و مفیدی در اختیار دانشمندان و علاقمندان قرار گیرد.

با آرزوی سعادت و سلامت  
پروفسور دکتر تاریل پوتکارادзе

## სარჩევი

<b>ნომადი ბართაია, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ</b>	
ურთიერთობათა პერიოდები .....	10
.....دانشگاه های دولتی تفليس ایوانه جاوخیشولی	16
Nomadi Bartaia, Periods of Relation between Georgian and Iranian Literature.....	16
<b>Номади Бартая, Основные этапы грузино-персидских литературных отношений .....</b>	17
<b>დავით ბრაგვაძე, ქრისტიანი და მუსლიმი სასულიერო ლიდერები</b>	
ატომური იარაღის შესახებ.....	18
.....دیدگاه رهبران روحانی مسیحی و مسلمان در مورد سلاح های هسته ای	28
David Bragvadze, Christian and Muslim Spiritual Leaders about Nuclear Arms .....	29
<b>Давид Брагвадзе, Христианские и Мусульманские Лидеры Об Атомной Оружии.....</b>	30
<b>ზურაბ ბრაგვაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართლში</b>	
რელიგიათა ურთიერთობის ისტორიიდან .....	31
.....روابط مذهبی ایران و کارتلی	38
Zurab Bragvadze, About Religious Relationships in Kartli Kingdom of the Middle Ages.....	39
<b>Зураб Брагвадзе, Из Истории Взаимоотношений Религии В Картлиском Царстве Раннего Средневековья .....</b>	40
<b>ნანი გელოვანი, ქალის უფლებები ადრეულ ისლამში.....</b>	41
حقوق زنان در صدر اسلام.....	50
Nani Gelovani, Women's Rights in Early Islam .....	51
<b>Нани Геловани, Права женщины в раннем исламе .....</b>	52
<b>ვაჟა გურგენიძე, ირანის კონსტიტუციონალიზმი და პოლიტიკურ-</b>	
რელიგიური ინსტიტუტები .....	53
.....مشروطیت در ایران و نهادهای سیاسی - مذهبی"	62
V.P. Gurgenidze, Constitutionalism and Political-religious Institutions of Iran .....	62
<b>В. П. Гургенидзе, Конституционализм и политico-религиозные институты Ирана .....</b>	62
<b>ვლადიმერ ვახტანგაძე, რელიგიური ცხოვრება და ოჯახი .....</b>	63
.....تبیین و مقایسه جایگاه خانواده در مسیحیت و اسلام	73
Vladimer Vakhtangadze, Religious Life and Family.....	73
<b>Вахтангадзе Владимир, Религиозная жизнь и семья .....</b>	73



## ნომადი ბართაია

### ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პერიოდები

ირან-საქართველოს ურთიერთობანი საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს. ასევე საუკუნეთა სიღრმიდან, კერძოდ, XII საუკუნიდან იღებს სა-თავეს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი. სწორედ ამ დროს შემოვიდა სპარსულიდან ქართულში: „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“, „ქილილა და დამანა“, ნიზამი განჯელისა და ონსორის პოემები და მრავალი სხვა. სამწუხაროდ, მათგან დღემდე მხოლოდ „ვისრამიანმა“ მოაღწია.

ხაზგასმით ალვნიშნავთ, რომ ტოლერანტობით განთქმული ქართველი ხალხისთვის რელიგიურ სხვადასხვაობას არასოდეს შეუშლია ხელი ლიტერატურული ურთიერთობებისათვის, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს: „თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა, მაჲმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერ ერთობას ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა“ [ივ. ჯავახიშვილი 1965: 305].

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პირველი პერიოდი — XII საუკუნე განსაკუთრებულია საქართველოს ისტორიაში. ეს არის დავით ალმაშენებლისა (1089-1125 წნ.) და თამარ მეფის (1184-1213წწ.) ხანა. დავით მეფემ შეძლო დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულად ალმავლობის გზაზე დაყენება, რამაც თამარის მეფობაში განვითარების უმაღლეს მნვერვალს მიაღწია.

დავით ალმაშენებელი ერთნაირად მიაგებდა პატივს დასავლურ — ქრისტიანულსა და აღმოსავლურ — მუსლიმურ სულიერ ფასეულობებს, რომლის სინთეზმაც თავისი კეთილი გავლენა იქონია ქართული საერო მწერლობის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაზე.

XII საუკუნეში დიდი ქართული სასულიერო მწერლობის გვერდით აღმოცენდა და განვითარდა ასევე დიდი ქართული საერო მწერლობა. ამ დროს, მეზობელი მუსლიმ შირვანშაპთა კარი, რომელთანაც ნათესაური ურთიერთობაც კი ჰქონდა ქართულ-ქრისტიანულ სამეფო ოჯახს, წარმოადგენდა სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრს. ქართველ და შირვანელ სამეფო კართა ურთიერთშორის კარგი დამოკიდებულების ფონზე ქართულ ლიტერატურაში დაიწყო შემოდინება ახალმა სპარსულმა მწერლობამ. ამ პროცესმა კი მთელი საუკუნე გასტანა.

ამ ხანის სპარსულ ლიტერატურაში პანეგირიკული პოეზია განვითარების უმაღლეს მნვერვალს აღწევს. ეს უანრი ქართულ ლიტერატურაშიც თავის ადგილს იჭერს, რისი დასტურიცაა დღემდე მოღწეული ქართული სახოტბო პოეზიის ნიმუშები. მართალია, იგი მშობლიური ფესვებით იკვებებოდა, მაგრამ მისი განხილვა იზოლირებულად მაინც არ შეიძლება, რადგან მან „ბევრი რამ შეითვისა დიდი ტრადიციის მქონე სპარსულ-ტაჯიკური საკარო პოეზიიდან“ [ელ. მეტრეველი 1966: 103].

ცნობილია, რომ ქართულ მწერლობას არასოდეს უარსებია ჩაკეტილად, ის ყოველთვის მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში იყო ჩართული, საიდანაც იღებდა ყოველივე სასურველს, ისე, რომ არ ჰყარგავდა თვითმყოფადობას. ასე იყო მეთორმეტე საუკუნეშიც, როცა დასავლურ და აღმოსავლურ მწერლობასთან მჭიდრო ურთიერთობების პირობებში, მან არა თუ დაკარგა თვითმყოფადობა, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ სახით განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ჩვენთვის საინტერესო XII საუკუნე მახლობელი აღმოსავლეთის დიდ ნაწილში თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაა. თურქ-სელჩუკებმა თავიანთ იმპერიაში სპარსული დაამკვიდრეს სალიტერატურო ენად. სწორედ სპარსულ ენაზე ქმნიდნენ თურქ-სელჩუკთა სამფლობელოში შემავალი სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის შქონე ხალხები უკვდავ ქმნილებებს და თავიანთი წიაღიდან მომდინარე სიბრძნის ნაკადებით ასაზრდოებდნენ სპარსულ-მუსლიმური ლიტერატურის ოკეანეს, რომლის ჰავაც თავისებურ გავლენას ახდენდა ქართული მწერლობის კლიმატზე. ის ფაქტი, რომ ამ დროის წერილობით ძეგლებში, განმარტების გარეშე არიან მოხსენიებული სპარსული მწერლობის სხვადასხვა უანრის ლიტერატურულ ნაწარმოებთა გმირები (როსტომი, ქაიხოსრო, ესფანდიარი, ფრიდონი, რამინი, ვისი, ყაისი, შატბიერ და ანალათ, ვამეყ და აზრა, ხოსრო-შანშა, ბანუ და სხვ.), იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ ნაცნობი და ახლობელნი ყოფილან ისინი ქართველი მკითხველისთვის, ანუ რა მჭიდრო ყოფილა ამ პერიოდში ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი.

XII საუკუნეში, გარდა „ვისრამიანისა“, სპარსულიდან ქართულში შემოსული ყოფილა: ფირდოუსის „შაპ-ნამე“, ნიზამი განჯელისა და ონსორის პოემები, „ქილილა და დამანა“ და სხვ.

XII საუკუნის ქართულ-ირანულ მჭიდრო ურთიერთობებზე ნათლად მეტყველებს აგრეთვე ის ახალსპარსული ლექსიკური ნასესხობანი, რომლითაც მდიდარია ქართული ენის ლექსიკური ფონდი.

ქართველთა მიდგომა არასოდეს ყოფილა მონური სხვა ხალხთა კულტურის მიმართ. თვით ქრისტიანულ ლიტერატურასაც კი, რომელიც „ლვთის სიტყვად“ იყო გამოცხადებული, ჩვენი წინაპრები თავისუფლად ეპყრობოდნენ და ადვილი ნარმოსადგენია, ამ მხრივ თუ რა დამოკიდებულებაში იქნებოდნენ ისინი მუსლიმურ საერო მწერლობასთან.

XII საუკუნის მერე XVI საუკუნემდე, ისე როგორც საკუთრივ ქართულ ორიგინალური მწერლობაში, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებშიც, შეიძლება ითქვას, სიცარიელეა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასე ჩანს, რაც საქართველოში ჯერ მონღლოლთა ბატონობისა და შემდეგ თემურლენგის თარეშის მძიმე შედეგებით იყო გამოწვეული.

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მეორე პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს XVI—XVIII საუკუნეები. ეს მონაკვეთი ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღორძინების ხანად არის ცნობილი. ეს არის ირანში სეფიანთა ბატონობის ხანა. საქართველო ამ დროს ნარმოადგენდა არა ერთიან სახელმწიფოს, არამედ სხვადასხვა სამთავროებად დაქუცმაცებულ ქვეყანას, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი სეფიანთა ირანის პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ხოლო თუ

როგორი იყო ეს გავლენა, ამაზე ნათლად მეტყველებს ბერი ეგნატაშვილის სიტყვები, როცა ის ახასიათებს ირანიდან გამოგზავნილ როსტომ მეფის, იგივე ხოსრო მირზას (1632-1658წწ.) ქმედებას საქართველოში: „ამან აღა-შენა სახლი ყიზილბაშური, კეკლუცად და ტურფად ნაგები, შემოილო მო-ფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩუქრება და კეკელაობა, და მიიქცნენ სრულიად წესაა ზედა ყიზილბაშისასა“... [ეგნატაშვილი 1959: 424].

სეფიანთა ირანში აღმავლობას აღწევს კულტურული ცხოვრება — ხელოვნება, მეცნიერება, მწერლობა. დროისა და სივრცის დიდ მონაკვეთში განვითარებული ამ ხანის სპარსული ლიტერატურა ერთგვაროვანი არ არის, მაგალითად, თუ ისპაპანში მოღვაწე მწერალთათვის დამახასიათებელია ენობრივი სისადავე და ხალხურ მეტყველებასთან სიახლოვე, ირანის გარეთ, ინდოეთში მყოფ მხატვრული სიტყვის ოსტატთა შემოქმედება ხასიათდება ენობრივი სირთულით, მეტაფორული აზროვნებით, მაღალფარდოვნებით... [მეიმანათ 1377: 128]....

თითქმის ყველა ჟანრმა ამ ხანის მრავალფეროვანი სპარსული ლიტერატურისა, თარგმანის („ქილილა და დამანა“...), მიბაძვა-გადაკეთების („ლეილმაჯუნუნიანი“...) თუ გავლენის („ნარგიზოვანი“...) გზით, ასახვა ჰპოვა ქართულ მწერლობაში.

თუ ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პირველ პერიოდში შემოსული სპარსული ძეგლებიდან მხოლოდ „ვისრამიანი“ შემოვრჩა, მეორე პერიოდიდან სპარსული ლიტერატურის უამრავმა ნიმუშმა მოაღწია ჩვენამდე. ქართველ ირანისტთა გამოკვლევების საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ქართულ მწერლობაში სპარსულიდან შემოსული ლიტერატურის ნიმუშები, გამონაკლისთა გარდა, წარმოადგენენ არა თარგმანებს, არამედ სპარსულ თემებზე ქართულად შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებს. ქართველი პოეტებიც მშობლიურ ენაზე ისევე ამუშავებდნენ მათ, როგორც სპარსელი, თურქი, უზბეკი თუ სხვა მხატვრული სიტყვის ოსტატები — თავიანთ ენებზე. სეფიანთა ხანის ლიტერატურაში ათეულობით „ლეილმაჯუნუნიანი“ ცნობილი. „თუ თვითეული მათგანი ცალკე, დამოუკიდებელ თხზულებად არის მიჩნეული სპარსული ლიტერატურის ისტორიაში, ასევე დამოუკიდებელ ქართულ თხზულებად უნდა ჩაითვალოს თეიმურაზის ნამუშევარიც“ (იგულისხმება „ლეილმაჯუნუნიანი“ 6.ბ.) — წერს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე [კ. კეკელიძე 1951: 196].

მართალია, ამ პერიოდში არ ითარგმნებოდა უშუალოდ სპარსული ლირიკული ლექსი, მაგრამ მისი გარკვეული გავლენით იქმნებოდა ქართული ლირიკული პოეზია. სწორედ ამ დროსაა შექმნილი ლირიკულ ლექსთა კრებული „ნარგიზოვანი“, რომელსაც, „როგორც მხატვრულ ძეგლს, განსაკუთრებული ადგილი უკავია XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში, ხოლო მისი ავტორი ჭეშმარიტად გვევლინება ქართული ლექსის ბუნების მესაიდუმლედ“ [გ. მიქაძე 1966: 680].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს, სხვა ნაწარმოებთან ერთად, ხელმეორედ შემოვიდა ქართულ მწერლობაში ის სპარსული მხატვრული ძეგლები, რომლებიც XII საუკუნეში იყო შემოსული, მაგრამ უამთასიავის გამო — დაკარგული.

ურთიერთობანი ხალხთა შორის ნათლად ვლინდება ენაში და სეფიანთა ხანის ქართულ-სპარსული მჭიდრო კავშირების მკაფიო გამოხატულებაა თბილისურ მეტყველებაში დალექილი ის სპარსული ლექსიკა, რომელიც ასე უხვად არის წარმოდგენილი იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ [ი. გრიშაშვილი 1997].

იმდენად მჭიდრო იყო ამ ხანის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, რომ ქართული მწერლობის არსებობა წარმოუდგენელიც კი არის ამ დროის სპარსულიდან შემოსული ძეგლების გარეშე.

მესამე პერიოდად უნდა ჩაითვალოს XIX საუკუნე, რომელიც ქართული მწერლობის გარდამავალ ხანად არის ცნობილი. იგულისხმება აღმოსავლურიდან ევროპული მხატვრული აზროვნებისკენ გადასვლა. ამ დროს, ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, თანდათან მინელდა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი. გარდატეხა კი XIX საუკუნის შუახანებიდან მოხდა, როცა „სპარსულ ხმებზე“ ლექსის თქმის ტრადიცია არისტროკრატიდან დაბალ ფენებში გადავიდა“ [მ. ალექსიძე 2009: 54].

მეოთხე პერიოდი იწყება XX საუკუნის დადგომასთან ერთად, როცა სპარსულმა მწერლობამ, მიუხედავად ირანთან პოლიტიკური კავშირის განყვეტისა, ისევ მიიპყრო ქართველთა ყურადღება და კვლავ აღდგა სპარსულიდან ქართულად თარგმნის დიდი ტრადიცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იჩინა თავი სპარსული ლიტერატურისადმი მიბრუნების ტენდენციამ, როცა გაზეთ „ივერიაში“ 1891 წელს ერთმა ქართველმა გულის-წუხილით განაცხადა — „როსტომიანს“ რატომ არ გამოვცემთო.

ვერ ვიტყვით, მაინცდამაინც იმ გულისწუხილის გამოძახილი იყო თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ 1916 წელს მართლა გამოსცა პროფესორმა იუსტინე აბულაძემ „როსტომიანის“ ანუ „შაჰ-ნამეს“ პირველი ტომი, რომელსაც მოჰყვა 1934 წელს — მეორე ტომის, (ალ. ბარამიძის, პ. ინგორიშვალის, კ. კეკელიძის, აკ. შანიძისა და იუსტ. აბულაძის რედაქციით), ხოლო 1975 წელს — მესამე ტომის გამოცემა (დ. კობიძის რედაქციით).

ხოლო, რაც შეეხება სპარსულიდან თარგმნას, იგი აღდგა, თითქმის ორსაუკუნოვანი წყვეტილობის შემდეგ, როცა ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა საადი შირაზელის „გოლესთანის“ რვა არაკის ალექსანდრე სარაჯიშვილისეული თარგმანი [საადი 1904].

შემდეგი ნაბიჯი ამ მხრივ იყო 1924 წელს ომარ ხაიამის 25 რობაის იუსტინე აბულაძისეული თარგმანის გამოჩენა უურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე.

სპარსული ლიტერატურის თარგმნის განახლება მაინც ამბაკო ჭელიძის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1933 წელს ქართველ მკითხველს მიაწოდა „სპარსული ლირიკა“, 1936 წელს „ირანელი ლირიკოსები“, ხოლო 1946 წელს ცალკე კრებულად — ომარ ხაიამის რობაიების ქართული თარგმანები და სხვ.

ამბაკო ჭელიძემ, როგორც ფინანსისტმა, ექვსი წელი დაპყო სამუშაოდ ირანში. ამ დროს მან შეისწავლა სპარსული ენა და თვითონ ხომ ეზიარა

სპარსულ კლასიკურ პოეზიას, ქართველ მკითხველსაც მისცა საშუალება მისი გაცნობისა.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ თუ მანამდე ჩვენი წინაპრები მხოლოდ სპარსული ეპიკური ტილოებით იყვნენ დაინტერესებულნი, ამბაკო ჭელიძის ყურადღება ძირითადად სპარსულმა ლირიკამ მიიბყრო. ამგვარად, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, ისევ აღორძინდა სპარსულიდან ქართულად თარგმნის დიდი ტრადიცია, ხოლო მას მერე, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღიდანვე (1918წ.) საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ირანისტიკას, სპარსული ლიტერატურის თარგმნა ქართველმა ირანისტებმა თავიანთ ლვიძლ საქმედ გაიხადეს. ამ დროიდან უანრობრივი მრავალფეროვნებით ქართულად ითარგმნება ლიტერატურული ნიმუშები არა მხოლოდ ახალი სპარსულიდან, არამედ ძველი და საშუალო სპარსული ენებიდანაც.

მეხუთე პერიოდი იწყება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ანუ იმ დროიდან, როცა ირანმა და საქართველომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიანთი ურთიერთობების ისტორიაში, პირველად დაამყარეს ერთმანეთთან თანაბარულებიანი სახელმწიფოებრივი კავშირი.

მართალია, ქართულ-ირანული ლიტერატურული ურთიერთობანი საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებამდე იგი ცალმხრივი იყო, მხოლოდ ქართველები იყვნენ დაინტერესებულნი სპარსული მნერლობით. მეხუთე პერიოდი კი გამოირჩევა იმით, რომ ეს ურთიერთობანი ორმხრივი გახდა.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პირველ პერიოდში (XII ს.) ჩვენი წინაპრების ყურადღება მიპყრობლი იყო სპარსული ეპიკური უანრის ნანარმოებებისადმი. ამ დროს ქართულ მნერლობაში შემოსულა მრავალი სპარსული ნანარმოები, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ „ვისრამიანმა“ მოაღწია.

ასევე სპარსული ლიტერატურის უამრავი ნიმუში შემოვიდა მეორე პერიოდში (XVI—XVIII სს.) ქართულ მნერლობაში და, განსხვავებით პირველი პერიოდისგან, ბევრმაც მოაღწია კიდეც დღემდე.

მესამე პერიოდში (XIX ს.) ანუ იმ დროიდან, როცა საქართველოსა და ირანს შორის გაწყდა პოლიტიკური ურთიერთობანი, სპარსული ჰანგების ხმა მაინც გაისმოდა ქართულ მნერლობაში, რომელიც თანდათან საუკუნესთან ერთად მიიღია.

მეოთხე პერიოდი (XX ს.) გამოირჩევა იმით, რომ საქართველოში ირანისტიკის მძლავრი კერის შექმნამ (1918წ.), მაღალპროფესიულ დონეზე განაახლა ის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს. ამ დროს ქართველი მკითხველი, ახალსპარსულთან ერთად, პირველად დაეწაფა ძველი და საშუალო სპარსული ლიტერატურის მარგალიტებს.

მეხუთე პერიოდი იწყება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ანუ მას მერე, რაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა და ირან-საქართველოს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობანი. ეს მონაკვეთი გამოირჩევა იმით, რომ თუ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერ-

თობანი მანამდე ცალმხრივ ხასიათს ატარებდა, იგი უკვე ორმხრივი გახდა და ამ ორი ლიტერატურის ურთიერთობათა ისტორიაშიც სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო.

რაც შეეხება რელიგიურ სხვადასხვაობას, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობასა და ისლამს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებისთვის არასოდეს შეუძლია ხელი.

### დამონიშებული ლიტერატურა:

**მ. ალექსიძე 2009** — მარინა ალექსიძე, სპარსელები და ქართული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი, 2009.

**გ. გრიშაშვილი 1997** — იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“ საარქივო მასალაზე დაყრდნობით, გამოსაცემად მოამზადა რუსულან კუსრაშვილმა, თბილისი, 1997.

**ეგნატაშვილი 1955** — ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, თბილისი, 1955.

**კ. კეკელიძე 1959** — კორნელი კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. VII, 1951.

**ელ. ეტრეველი 1969** — ელენე მეტრეველი, დავითისა და თამარის ქება, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 1966,

**واژه نامه هنر شاعری، فرهنگ تفصیلی اصطلاحات فن شعر و سبک ها و مکتب های آن، میمنت میر صادفی، تهران**

**გ.მიქაძე 1966** — გივი მიქაძე, „ნარგიზოვანი“, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 1966.

**პ. უმიკაშვილი 1904** — პეტრე უმიკაშვილი, „ივერია“, 1904 წ., 23.

**საადი 1904** — საადი შირაზელი, „გოლესთანი“ თარგმანი ალ. სარაჯიშვილისა, უკრ. „ფასკუნჯი“, 5, 1904.

**ივ. ჯავახიშვილი 1965** — ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965.

دانشگاه های دولتی تفلیس ایوانه جاوهیشیولی.

روابط ادبی گرجی و فارسی می توان به پنج دوره تقسیم نمود:

دوره اول - قرن 12

دوره دوم - قرون 18-19

دوره سوم - قرن 19

دوره چهارم - از اغاز قرن 20 تا سال های 90 قرن 20

دوره پنجم - از سال های 90 قرن 20 تا اکنون.

در دوره اول، قابل توجه گرچیان اثار شیوه حمامه‌ی فارسی گردیده است. در آن زمان بسیار از اثر ادبی فارسی در نویسنده‌ی گرجی وارد شده، ولی، متأسفانه، تا امروز فقط «ویس و رامین» فخر الدین گرگانی رسیده است.

در دوره دوم نیز در این گونه است، ولی، خوشبختانه، از آن زمان اثر زیادی فارسی، که در ادبیت گرجی به طریق ترجمه و تقییدی وارد شده، تا اکنون آمده است.

هر دو دوره در راه ترقی ادبیات عرفی گرجی اثر خوبی گذاشته است. در دوره سوم با وجود آن، که گرجستان با ایران هیچ روابط سیاسی نداشته، می توان گفت، که در ادبیت

گرجی در طول یک قرن اهنگ های شعر فارسی شنیده می شده است.

دوره پنجم از آن مشخص می شود، که پس از به وجود آمدن ایرانشناسی در گرجستان (1918)، روابط ادبی گرجی و فارسی تجدید شده است و اثار ادبی فارسی به خوانندگان گرجی باز هم راه یافته است.

دوره پنجم از آن زمان شروع می شود، که گرجستان کشور مستقل شده و اول در تاریخ طولانی ایران و گرجستان روابط سیاسی بی سابقه برقرار شده است.

این دوره تمایز از آن می باشد، که اگر طی قرون متادی روابط گرجی و فارسی یک جانبه بوده، حالا دو جانیه شده و ادبیت گرجی قابل توجه ایرانیان گردیده است و اثار ادبی گرجی با موفقیت به زبان فارسی

ترجمه می شود.

میتوان گفت، که اسلام و مسیحیت هیچوقت مانع روابط ادبی گرجی و فارسی نبوده است.

Nomadi Bartaia

### Periods of Relation between Georgian and Iranian Literature

The relations between Georgian and Iranian literature can be divided into five periods: the 12<sup>th</sup> century is regarded as the first period, the second period – 16<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries, the third one – 19<sup>th</sup> century, the fourth period – 20<sup>th</sup> century, the fifth period - since the 90ies of the 20<sup>th</sup> century.

Georgian Iranists have done a lot in researching the relations between Georgian and Persian literature, on basis of which we will try to outline and describe the major stages of the development of literary processes in our article.

Номади Барташа

## **Основные этапы грузино-персидских литературных отношений**

Грузино-персидские литературные отношения, которые берут свое начало с XII века, можно разделить на пять основных этапов:

Первый этап – 12 в., второй этап – 16-18вв., третий этап – 19в., четвертый этап – начало 20 в. до 90 годов этого века, пятый этап – с 90 годов 20 века по сей день.

На первом этапе персидская литература в большом количестве вошла в грузинскую литературу, к сожалению, до нас дошла только поэма Гургани Фахр ад-дина Асада «Вис и Рамин».

И на втором этапе персидская литература в большом количестве вошла в грузинскую литературу. На этот раз, к счастью, большая часть этих произведений сохранилась и по сей день.

На третьем этапе, несмотря на то, что Грузия разорвала политическую связь с Ираном, в грузинской литературе в течение всего столетия звучали звуки персидской поэзии.

Четвертый этап начинается с 20 годов двадцатого века, после того, как в Грузии было заложено основание иранистики (1918 г.) и перевод персидской литературы стал для грузинских иранистов родным делом.

Пятый этап начинается с того, как Грузия стала независимым государством и Иран и Грузия, как две политически независимые единицы установили между собой полноправные отношения.

Характерным для этого этапа является то, что если раньше отношения в течение веков носили односторонний характер – осуществлялись переводы только с персидского на грузинский язык, то теперь этот процесс стал двусторонним.

Хочется подчеркнуть то, что две веры Ислам и Христианство никогда не являлись преградой для грузино-персидских литературных взаимоотношений.

## დავით ბრაგვაძე

### ქრისტიანი და მუსლიმი სასულიერო ლიდერები ატომური იარაღის შესახებ

ატომური იარაღი თანმედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემადაა მიჩნეული. მიდი გამანადგურებელი ძალა კაცობრიობამ თვალნათლივ რამდენჯერმე იხილა. სამხედრო კონფლიქტების დროს ის ორჯერ იქნა გამოყენებული, როდესაც ამერიკულმა ავიაციამ მეორე მსოფლიო ომის დროს, 1945 წლის 6 აგვისტოს იპონიის ქალაქი ჰიროსიმა, ხოლო 9 აგვისტოს ნაგასაკი დაბომბა. მათმა გამოყენებამ უდიდესი მსხვერპლი გამოიწვია. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით ჰიროსიმაში 90 000-დან 166 000-მდე ადამიანი დაიღუპა, ნაგასაკიში კი 60 000-დან 80 000-მდე. რადიაციით გამოწვეული ანომალიები კი მრავალი მრავალი ათწლეულის განმავლობაში იჩენდა თავს.

გარდა საომარი მიზნებისა ატომურ ენერგიას სხვა დანიშნულებითაც იყენებენ. ჰირველ რიგში კი ელექტროენერგიის გამომუშავების მიზნით. ერთი შეხედვით უწყინარმა მიზანმა კაცობრიობა რამდენჯერმე დააყენა კატასტროფის წინაშე. მათ შორის ყველაზე ცნობილი 1886 წლის 26 აპრილს უკრაინის ქალაქ ჩერნობილში მომხდარი ტრაგედიაა. არანაკლებ საშიში განვითარება შეიძლება მოჰყოლოდა 2011 წლის 11 მარტის ცუნამის შედეგად იაპონიაში, ფუკუშიმას პრეფექტურაში მდებარე ატომურ რეაქტორს, მაგრამ იაპონური ტექნოლოგიები საბჭოთაზე გამძლე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელმა სპეციალისტებმა რეატორის გაციება და საფთხის ლოკალიზება შეძლეს, მისგან მომავალ საფრთხეზე საუბარი დღესაც არ წყდება. უშალოდ რეაქტორის დაზიანების აღმოფხვრაზე მუშაობისას რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა 37 კი ფსიქიურად შეიშალა (*IAEA Briefing on Fukushima Nuclear Accident. 2011*). ამ უკანასკნელი შემთხვევიდანაც ჩანს, რომ ატომური ენერგიის ეკონომიკური მიზნებით გამოეყენებაც არაა უსაფრთხო. იმ ქვეყნების რიცხვი, რომელიც ურანს ენერგეტიკული მიზნებისთვის იყენებს საკმაოდ დიდია. მსოფლიოს არაერთი ატომური ელექტროსადგურს უკვე დიდი ხანია გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა, რის გამოც უკიდურესად სახიფათოდ მიიჩნება. მათ შორისაა საქართველოს მეზობელ სომხეთში მდებარე მენამორის ატომური სადგური (*Lavelle... 2011*). ატომურ ელექტორო საგურებზე საკმაოდ ხშირია ავარიები, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მსხვერპლით სრულდება. მათ შორის ისეთ ქვეყნებშიც, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

ატომური ენერგიის მშიდობიანი მიზნებით გამოყენების შედეგად გამოწვეული კატასტროფების ფონზე, პლანეტის მოსახლეობაში იზრდება შიში ატომური იარაღის მიმართ. თანამედროვე მსოფლიოში რვა სახელმწიფოა, რომელიც მსგავს მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები (1945), რუსეთი (ყოფილი სსრკ, 1949), გაერთიანე-

ბული სამეფო (1952), საფრანგეთი (1960), ჩინეთი (1964), ინდოეთი (1974), ის-რაელი (1979) და პაკისტანი (1998). არსებობს ეჭვები, რომ მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყანა აპირებს მის შექმნას. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ სწორედ ატომური იარაღის აღმოჩენის მიზნით მოხდა ამერიკული საჯარისო ნაწილების შესვლა ერაყში. ეჭვი იმის შესახებ, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი ამ ტექნოლოგიას ფლობდა, არ დადასტურდა.

დღეისათვის აქტიურტად საუბრობენ ჩრდილოეთ კორეისა და ირანის მხრიდან ბირთვული ტექნოლოგიების სამხედრო სფეროში გამოყენების ალბათობაზე. ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში ეჭვის მეტი საფუძველი არსებობს, ვინაიდან თითქმის დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ მათი რამდენიმე მცდელობა შეექმნათ ატომური იარაღი კრახით დასრულდა. ეს პერსპექტივა კი მის უახლოეს მეზობელსა და მოკავშირე ჩინეთსაც აშფოთებს (Perlez. 2008).

რაც შეეხება ირანს, დღეისთვის დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ცდილობს ეს ქვეყნა ბირთვული ენერგიის ატომურ იარაღად გარდაქმას. ოფიციალურად ისლამური რესპუბლიკა მას მხოლოდ მშვიდობი-ანი მიზნებითვის იყენებს.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ატომური იარაღი ცალკეული ადამიანების სიცოცხლისთვის და ზოგადად კაცობრიობის მომავალისთვის ძალიან საშიშია, მისი დაცვა კი ნებისმიერი რელიგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს. ჩვენი სტატიის მთავარი მიზანია წარმოაჩინოს ორი მსოფლიო რელიგიის, ქრისტიანობისა და ისლამის დამოკიდებულება ატომური იარაღის მიმართ. ვინაიდან ატომური ბომბი XX საუკუნის ფენომენია, მის შესახებ ინფორმაციას ამ რელიგიათა წმინდა წიგნებში ვერ შევხვდებით. თუმცა ბიბლიაში გვხვდება მასობრივი განაგურების ძალიან საინტერესო პრეცედენტი, უფლის მიერ ორი ქალაქის: სოდომისა და გომორის განაგურების სახით [დაბადება 19:24]. ანალოგიური სიუჟეტი გვხვდება ყურანშიც („ზღუდები“, 7: 80-84) (“ობობა”, 29:34-35).

ატომური იარაღის გამოჩენამ და გავრცელებამ, ბუნებრივია გამოიწვია სხვადასვა რელიგიათა წარმომადგენლებისა და სულიერი ლიდერების ყურადღება. წინამდებარე ნაშრომით ჩვენ შევეცდებით ატომური იარაღის მიმართ ქრისტიანი და მუსლიმი სულიერი ლიდერების პოზიციის წარმოჩენას. ბუნებრივია, ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია ამ საკითხის სრულად ამონურავა, ამიტომ ყურადღებას რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებთ, რომელიც ვფიქრობთ საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

როდესაც ატომურ ენერგიასა და მისი გამოყენების მიმართ რელიგიურ ლიდერთა დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით ამ საკითხის მიმართ ირანის სულიერი ლიდერის ალი ხამენეის დამოკიდებულებას. ინტერნეტში მოიძებნება არაერთი სტატია, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას ეძღვნება. ამ თემაზე ბევრს წერენ მსოფლიოს წამყვანი ჟურნალებიც. რამდენიმე მათგანი საკითხის მიმართ ირანის სულიერი ლიდე-

რის დამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას. ერთ-ერთი მათგანში მოყვანილია ხამენეის ციტატები, რომელიც ჯერ კდიევ მისი პრეზიდემტობის პერიოდიდან (1981-1989) იღებს სათავეს. 1984 წელს ატომური ენერგიის სა-ერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ირანის პრეზი-დენტმა აიათოლა ხამენეიმ განაცხადა, რომ იმამ ხომეინის გადაწყვეტილე-ბით ირანი აპირებდა შეეჩერებინა თავისი ატომური პროგრამა (Maginnis. 2012). ამავე სტატიაში ირანის მაშინდელი პრეზიდენტისა და დღევანდელი სულიერი ლიდერის სხვა ციტატებიცაა მოყვანული. მისი განცხადებით ატო-მური იარაღის შექმნა ერთად-ერთი გზა იყო ირანისათვის ისლამური რევო-ლუციის მტრებისგან დასაცავად. მისი ქონა ხელს შეუწყობდა ირანს ღირსე-ულად მომზადებული ყოფილიყო მესიის მეორედ მოსვლის უამისათვის, რაც გულისხმობდა ატომური იარაღის დახმარებით მთელს მსოფლიოში ისლამუ-რი წესრიგის დამყარებას (Maginnis. 2012). ამავე სულისკევეთებითაა სავსე ხამენეის კიდევ ერთი განცხადება, რომელიც მან გასულ წელს გააკეთა. ირა-ნის სულიერმა ლიდერმა შეცდომად შეაფასა ლიბიის დიქტატორ მუამარ კა-დაფის მხრიდან ატომურ პროგრამაზე უარის თქმა. ალი ხამენეის განცხადე-ბით, სწორედ ამან გამოიწვია კადაფის რეჟიმის დამხობა. „შეხედეთ სად ვართ ჩვენ და რა მგომარეობაში არიან ისინი“ - განაცხადა ხამენეიმ ამ თემა-ზე საუბრისას (Maginnis. 2012).

ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ირანის სულიე-რი ლიდერისა თურქეთის პრემიერ მინისტრის შეხვედრა, რომელიც 2012 წლის 29 მარტს მაშპადში გაიმართა. ამ საკითხის მიმართ რეჯეპ ტაიპ ერდო-ლანის დამოკიდებულება ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ მის დამოკი-დებულებაზე ისლამური სამართლის მიმართ საყოველთაოდაა ცნობილი. მი-უხედავად იმისა, რომ თურქეთი უკვე დიდი ხანია სეკულარულ სახელმწი-ფოდ ჩამოყალიბდა, ერდოლანის მონინაალმდეგები, რომელთა უდიდესი ნა-ნილი ათათურქის პოლიტიკის მიმდევარი და მომხრეა, ხშირად ადაშაულებენ მას ქვეყნის ისლამიზაციის მცდელობაში. შეხვედრას ინტერესს ჰქმატებდა შიიტურ ირანში სუნიტი პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფაქტიც. შეხვედრის დასრულების შემდეგ ერდოლანმა პრესისითვის კომენტარიც გააკეთა. მისი თქმით, შეხვედრისას ირანის სულიერმა ლიდერმა ღიად და გარკვევით გა-ნაცხადა, რომ მასობრივი განაგურების იარაღი ენინაალმდეგება შარიათის კანონებს (Goodenough. 2012). შეხვედრიდან ცოტა ხანში, არაბულ პრესასთან საუბრისას თურქეთის პრემიერ მინისტრმა ხამენეის პოზიცია კიდევ ერ-თხელ გააუღერა და რიტორიკულად იკითხა: „განა მათ არ აქვთ უფლება ატომური პროგრამა მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოიყენონ?“ (Goodenough. 2012). აღნიშნული შეხვედრის შინაარსზე ყურადღებას ამახვილებდა ამერი-კის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც. სტამბოლში ვიზიტისას ამ საკითხზე მან როგორც ერდოლანთან, ისე თავის თურქ კოლეგა აპერტ დავუთოლლუსთან ისაუბრა. უურნალისტებთან სუაბ-

რისას კლინტომა ფაქტობრივად გაიმეორა თურქეთის პრემიერის სიტყვები, როდესაც აღნიშნა, რომ ირანის სულიერი ლიდერი ატომური იარაღის შექმნას რელიგიური თვალსაზრისით აკრძალულად მიიჩნევდა (Goodenough. 2012).

აღსანიშნავია, რომ აღი ხამენეი ასეთ განცხადებებს არა მხოლოდ უცხოელ სტუმრებთან, არამედ იმ ადამიანებთანაც აკეთებს, რომელებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ირანის ბირთვულ პროგრამაში. „იდეოლოგიური და სამართლებრივი კუთხით, ატომური იარაღის შექმნა უკანონოდ მიგვაჩნია. მისი გამოყენება უდიდესი ცოდვაა. მისი შენახვა უსარგებლო და საშიშია, ჩვენ ამ გზით არასოდეს წავალთ“ - განაცხადა ხამენეიმ ირანელ მეცნიერებთან საუბრისას. მან ისიც დასძინა, რომ ატომური იარაღი უბრალოდ უსარგებლო ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის (The Economist. 2012). მიუხედავად ასეთი განცხადებისა დასავლეთში ირანის სულიერი ლიდერის გულწრფელობაში ეჭვი ეპარებათ. ამ უნდობლობის დასასაბუთებლად ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ხამენეი ცდილობს ფათვა გამოიყენოს ირანის ბირთვული პროგრამის შესანიღბად (Maginnis. 2012). ფატვა - იურიდიული აქტია, რომელიც ემყარება ისლამურ სამართალს და გამოიცემა მუსლიმი სწავლულის მიერ. დასავლეთში თვლიან, რომ ფატვას განხილვა, როგორც სერიოზული საბუთისა, არ შეიძლება რადგან ის თავისი ბუნებით „დამყოლია“. ის არ წარმოადგენს უკანსასკნელ ჭეშმარიტებას და შეიძლება კამათის საგანი გახდეს, როგორც სხვა სწავლულის, ისე მისი ავტორის მხრიდან (The Economist. 2012). კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ მიმართულებით დასავლეთში აქტიურად განიხილება ისაა, რომ მათი აზრით, ხამენეი თავისი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებისას მიმართავს თაქიას. თაქია შიიტური ისლამის ერთ-ერთი დოქტრინაა, ნებადართული თვალმაქცობა, რომელიც რწმენის დაცვისკენაა მიმართული. ეს ევროპელ და ამერიკელ ანალიტიკოსებს აფიქრებინებს, რომ ხამენეი ხშირ შემთხვევაში თვალთმაქცობს, რის საშუალებასაც მას რწმენა აძლევს. ამავე თემაზე საუბრისას, ყურადღებას ამახვილებენ ირანის ისლამური რევოლუციის ლიდერის აიათოლა რუპოლა ხომეინის პოზიციაზე, რომელმაც ირანში ატომური პროგრამის (ზოგი მკვლევარის აზრით, ბირთვული იარაღის ჩათვლით) განვითარებაზე ფიქრი 1980 წლიდან, ერაყთან საომარი მგომარეობის გამო მიიღო (The Economist. 2012). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1984 წლისთვის, როდესაც ომი ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაში იყო ხომეინიმ მიიღო საჯაროდ გააშლერა ირანის ბირთვული პროგრამის მშვიდომიანი მიზნების შესახებ (იხ. ზემოთ).

ცხადია, რომ დღესდღეობით ირანის ბირთვული პროგრამა მსოფლიოში ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად რჩება. ხშირია საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ირანში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე ამ პროგრამის შეჩერების მიზნით, მაგრამ ამ მომენტისათვის დაბიჯითებით რა-

მის მტკიცება ძნელია. რაც შეეხება ალი ხამენეის პოზიციას და ისლამური სამართლის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. ხამენეი ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერი და ქვეყნის პირველი პირია. ირანის სახელმწიფო იდეოლოგიის უმთავრესი ამოცანა სწორედ რევოლუციის დაცვაა და ხამენეი, როგორც რაჟბარი, პირველ რიგშია მოვალე ეს გააკეთოს. არაა გასაკვირი, რომ ის მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს გამოიყენებს თავისი მოვალეობის შესასრულებლად და არაა გამორიცხული, მიმართოს შიიტური ისლამის მხრიდან გამართლებულ თვალთმაქცობის ხერხსაც რწმენის დაცვის მიზნით. მიუხედავად ამ ვარაუდებისა, ოფიციალურ დონეზე ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალური პირები, და მათ შორის ალი ხამენეი, უარყოფენ ირანის ატომური პროგრამაში სამხედრო ელემენტების არსებობას. ხამენეის, როგორც სულიერ ლიდერს, თეოლოგსა და ისლამური რესპუბლიკის მთავარ იდეოლოგს, დეკლარირებული აქვს, რომ ატომური იარაღის შექმნა და გამოყენება ეწინააღმდეგება შარიათის კანონებს და შესამაბისად დაუშვებელია.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, პირველად და ჯერ-ჯერობით უკანასკნელად, ატომური იარაღი პრაქტიკაში 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, იაპონიის ქალაქებში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში გამოიყენეს. შეერთებული შტატების რადიკალურ გადაწყვეტილებას მწვავე რეაქცია მოყვა იმდორინელი მსოფლიოში. მწვავე რეაქციამ არ დააყოვნა რომის კათოლიკური ეკლესიისა და უშუალოდ პაპ პიუს XII-ის მხრიდან: „ნებისმიერი საომარი აქტი მიმართული ქალაქების, გაშლილი სივრცეცებისა და მათი მცხოვრებლების განადგურებისაკენ, არის დანაშაული ღვთისა და კაცობრიობის წინაშე“ (Weber. 1997). ჰიროსიმას დაბომბვას მეორე დღესვე გამოქმაურა ვატიკანის გაზეთი: „ეს ომი მიდის კატასტროფული შედეგებისკენ. განსაკუთრებით საშიშია ამ გამანადგურებელი იარაღის ცდუნების წინაშე შთამომავლობის დატოვება, რადგან როგორც მწარე გამოცდილებით ვიცით, კაცობრიობა ცოტას თუ სწავლობს ისტორიის გამოცდილებიდან“ (Weber. 1997). შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმ დღიდან მოყოლებული მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ვატიკანის ოფიციალური პოზიციში ატომური იარაღის მხრიდან არ შეცვლილა.

რომის ყველა პაპი პიუს XII-დან დაწყებული ბენედიქტე XVI-ით დამთავრებული ცალსახად აფიქსირებდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ატომური იარაღის მიმართ. ყველა მათგანის პოზიციის სათითაოდ განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ უკანასკნელ ორზე შევჩერდებით. რომის პაპი იოანე-პავლე II, რომლის წმინდანად შერაცხვის პროცესი მისი გარდაცვალებიდან მალევე დაიწყეს და „დიდი“ უწოდეს, თავად იმყოფებოდა იაპონიაში. ვიზიტის ფარგლებში მან ჰიროსიმა და ნაგასაკიც მოინახულა „მშვიდობის პილიგრიმის“ რანგში. ჰიროსიმას მშვიდობის მემორიალთან სიტყვით გამოსვლისას რომის პაპმა განაცხადა, რომ აუცილებელია მუდამ გვახსოვდეს კატასტროფა, რომელიც ამ ქალაქმა გადაიტანა, რათა მომავალში მსგავსი

რამ არ განმეორდეს. პაპმა ალნიშნა, რომ ეს ტრაგედია მშვიდობის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო კაცობრიობისათვის. მანვე განაცხადა, რომ იდეოლოგიათა შორის დაპირისპირება არ უნდა ხდებოდეს ადამიანთა დაღუპვის მიზეზი და ხაზი გაუსვა კონფლიქტების მშვიდობისანი გზით მოგვარების აუცილებლობას (Pope John Paul II. 1981). იგივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული იოანე-პავლე II-ის გამოსვლა 1982 წლის 7 ივნისს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე. პაპმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ატომური იარაღისა და გამალებული შეირაღების საკითხის მიმართ (Pope John Paul II. 1982). იოანე-პავლე II გარდაცვალებამდე მსგავს პოზიციას ინარჩუნებდა.

ატომურ იარაღთან მიმართებაში ვატიკანის დამოკიდებულება არც ახლახან გადამდგარი პაპის მმართველობისას შეცვლილა. ბენედიქტე XVI-ემ გარკვევით განაცხადა: „ატომურ ომის შემთხვევაში მსოფლიოში არ იქნება გამარჯვებული, იქნება მხოლოდ მსხვერპლი“ და იქვე დასძინა, რომ დროა დაინტოს რეალური, პროგრესირებადი განიარაღება (Moral/Ethical Considerations:.... 2012).

რომის მოქმედი პაპის არჩევიდან ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული და ჯერ-ჯერობით პაპის რანგში, მას ატომური იარაღის საკითხზე თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია. მიუხედავად ამისა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არ პაპი ფრანცისკე მისი წინამორბედების პოლიტიკას გააგრძლებს. პაპის რანგში თავის პირველ სააღდგომო ქადაგებაში პაპმა ფრანცისკემ ვრცლად ისაუბრა მსოფლიოში მშიდობის დამყარების აუცილებლობაზე და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ დაძაბულობის განახლებას (Povoledo, 2013). მართალია პაპს ატომური იარაღი არ უხსენებია, მაგრამ ამ დაძაბულობის მიზეზი სწორედ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციებია. არა არის გამორიცხული სამომავალოდ პაპმა ფრანცისკემ სხვა გამოსვლებში უშუალოდ ატომური შეიარათების საკითხზეც დააფიქსიროს პოზიცია.

ვატიკანის პოზიციის მოტივაცია ძნელი გამოსაცნობი არ არის. ვატიკანი ჯუჯა კლერიკალური სახელწმიფოა, რომელსაც არ ჰყავს არმია და არა აქვს მსოფლიოს იარაღით მართვის ამბიცია. მისი უმთავრესი იარაღი რწმენაა. რომის პაპს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს და მის აზრს ანგარიშს უწევენ მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური ლიდერები. საყურადღებოა ვატიკანის დიდი ფინანსური რესურსებიც, რომლის დახმარებითაც ის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეწევა მისიონერულ და საქველმოქმედო საქმიანობას. ეს ყველაფერი კი რომის პაპებს აძლევს საშუალებას ჰქონდეთ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ყველა სახის იარაღის მიმართ და ყველაფერი გააკეთონ ამ პოზიციის დასაცავად. კათოლიკური სამყაროს სულიერ ლიდერებს ამ გარემოებებიდან გამომდინარე ატომური იარაღის საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ მხოლოდ ქრისტიანული

რელიგიის მორალური და ზნეობრივი პოზიციებიდან გამოვიდნენ, რასაც 1945 წლიდან მოყოლებული მიზანმიმართულად აკეთებენ.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სულიერი ლიდერების ქვეყნებიდან არცერთი არაა ატომური იარაღის მფლობელი. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა რუსეთის მაგალითი, რომლის ეკლესიაც ერთ-ერთი უდიდესი და გავლენიანია მსოფლიოში. რუსეთი მსოფლიოს უდიდესი ქ्यეყანაა და ბირთვული პოტენციალით მას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები აღემატება. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ჯერ საბჭოთა კავშირი და შემდგომ პერიოდში რუსეთი ბირთვული განიარაღების პროცესის აქტიური მონაწილეა. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ჩვენთვის საინტერესო საკითხის მიმართ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესის საჭეთმყრობლის პოზიციასაც შევვეხებით.

2009 წლის წლის 11 სექტემბერს რუსეთის მოქმედი პარტიარქი კირილი ქალაქ სარატოვს სტუმრობდა. სარატოვი რუსეთი ატომური სამხედრო ინდუსტრიის ცენტრია. მან ადგილობრივ ახალგაზრდებთან გამართულ შეხვედრაზე საკმაოდ სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ომის მიზეზი ცოდვა და ეშმაკია, რომელიც კაცის გულს ეპატრონება და მხოლოდ მისი დამარცხებით შეიძლება ომის თავიდან აცილება. „ჩვენ შეიძლება განვავითაროთ საერთაშორისო სამართლის სისტემა, საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ მაინც გადავეშვათ ომის უფსკრულში“ განაცხადა კირილმა და იქვე დასძინა, რომ რუსეთს ატომური ბომბი თავისი სახელმწიფოებრიობის დასაცავად სჭირდება, რასაც ეკლესის პოზიციამ „მსოფლიო ატომური იარაღის გარეშე“ შეიძლება ხელი შეუშალოს (Couretas. 2009).

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ოფიციალური კრემლისა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესის ერთმანეთთან დამოკიდებულება. ის, რომ ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, არც გაკვირვების საგანი უნდა იყოს. კირილი, უდიდესი მართლმადიდებლური ეკლესის საჭეთმცყრობელია, რომელსაც აქვს უდიდესი გავლენა მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროზე. დღესდღეობით ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ ის ამ გავლენას ნელ-ნელა კარგავს. აქედან გამომდინარე, კირილი კარგად აცნობიერებს, რომ მისი ეკლესის სიძლიერე პირადაპირაა დამოკიდებული რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებასთან. ამ ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიად კი სწორედ ატომური ბომბს მიიჩნევს. მისი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავედება რომის პაპის მდგომარეობისგან. მას, როგორც სულიერ ლიდერს, არ შეუძლია მხოლოდ სახარებისეული პრინციპების გათვალისწინებით მოქმედება. მისი ეკლესია მჭირდო კავშირშია რუსულ პოლიტიკასთან, რაც მნიშვნელოვანნილად განაპირობებს რუსეთის პატრიარქისა და ეკლესის ოფიციალურ პოზიციას.

დასასრულს კიდევ ერთხელ აღვნიშვნავთ, რომ ჩვენ შევეცადეთ ზოგადად წარმოგვედგინა მუსლიმი და ქრისტიანი სულიერი ლიდერების პოზიცია ატომური იარაღის მიმართ. ცხადია, კიდევ მრავალი დიდი თუ მცირე კონფე-

სიის ლიდერს დაუფიქსირებია თავისი დამოკიდებულება ამ საკითხე, მაგრამ ერთი სტატიის ფარგლებში ყველა მათგანის გახილვა შეუძლებლად მიგვაჩნია. ამ შემთხვევების განხილვის საფუძველზე კი რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება.

პირველ რიგში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისლამიც და ქრისტიანობაც, როგორც მშვიდობის მქადაგებელი რელიგიები, საფუძველშივე ეწინააღმდეგებიან მასობრივი განადვურების იარაღის არსებობის იდეას. ამ ფაქტს ვერც ის სულიერი ლიდერები უქცევენ გვერდს, რომელებიც დღეს-დღეობით მათი სრული ლიკვიდაციის მომხრებად არ გვევლინებიან. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს მკვეთრი განსხვავება სხვადახვა რელიგიური ლიდერების მგომარეობას შორის. კერძოდ:

ირანის სულიერი ლიდერი ამავე დროს ქვეყნის პირველი პირია. მისი ქვეყანა ატომურ ენერგიას მშვიდობიანი, ენერგეტიკული მიზნებისთვის იყენებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში არსებობს ეჭვი, რომ ირანი ცდილობს ატომური ბომბის შექმნას.

რომის პაპი ვატიკანის სულიერი ლიდერი და ქვეყნის პირველი პირია. მისი სახელმწიფოს არანაირი შეხება არ აქვს ატომურ ენერგიასა და იარაღთან. ვატიკანს გააჩნია სრული ხელშეუხებლობის გარანტია ნებისმიერი საომარი მოქმედების შემთხვევაში, რაც მის მეთაურს აძლევს საშუალებას იყოს სრულიად თავისუფალი თავისი პოზიციის დაფიქსირებისას.

რუსეთის პატრიარქი არაა ქვეყნის ლიდერი. მას მხოლოდ რელიგიური ხელისუფლება გააჩნია. რუსეთის კანონმდებლობით სახელმწიფო და ეკლესია ეთმანეთისგან გამიჯნულია. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ხელისუფლებას გააჩნია უდიდესი გავლენა ეკლესიაზე და შესაბამისად შეუძლია მათი პოზციის ფორმირება.

რელიგიურ ლიდერებს გარდა წმინდა წიგნის პრინციპების დაცვისა, უწევთ არსებული პოლიტიკური მგომარებისთვის თვალის გასწორება. ისინი ხშირ შემთხვევაში იძულებული არიან ანგარიში გაუწინ იმ რეალობას, რომელშიც იმყოფებიან. ეს რთული მგომარეობა აბსულუტურად არ გამორიცხავს იმასაც, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი ამბობდნენ ერთს და გულისხმობდნენ მეორეს. მათ ხშირად უწევთ ოქროს შუალედის ძიება რელიგიურ, ჰუმანურ პრინციპებსა და გლობალური პოლიტიკის გამოწვევებს შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. **ბიბლია.** საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა თბილისი, 1989.
2. **ყურანი.** არაბულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო გიორგი ლობჟანიძემ. თბილისი, 2006.
3. **Couretas, John.** Patriarch Kirill: Russia Needs Nuclear Weapons. September 11, 2009.  
<http://www.aoiusa.org/blog/patriarch-kirill-russia-needs-nuclear-weapons/>
4. **Goodenough, Patrick.** Iranian Leader Convinces Turkey's PM That Islam Forbids Nukes. CNSNews. April 3, 2012.  
<http://cnsnews.com/news/article/iranian-leader-convincing-turkey-s-pm-islam-forbids-nukes>
5. **IAEA Briefing on Fukushima Nuclear Accident (2 June 2011, 18:30 UTC).** <http://www.iaea.org/newscenter/news/tsunamiupdate01.html>
6. **Iran's Nuclear Theology. Bombs and Truth, Muslim Theological Objections to Nuclear Weapons – Real and Imagined.** The Economist. March 12, 2012.  
<http://www.economist.com/node/21555541>
7. **Lavelle, Marianne and Garthwaite, Josie.** Is Armenia's Nuclear Plants the Word's Most Dangerous?. National Geographic News. April 11, 2011.  
<http://news.nationalgeographic.com/news/energy/2011/04/110412-most-dangerous-nuclear-plant-armenia/>
8. **Maginnis, Robert.** Khamenei Uses Fatwa to Disguise Iran's Nuclear Intention. Human Events. April 26, 2012.  
<http://www.humanevents.com/2012/04/26/khamenei-uses-fatwa-to-disguise-irans-nuclear-intentions/>
9. **Moral/Ethical Considerations: Nuclear Weapons- At What Price?**  
[http://www.nuclearfiles.org/menu/key-issues/ethics/issues/religious/relig\\_moral\\_ethical.pdf](http://www.nuclearfiles.org/menu/key-issues/ethics/issues/religious/relig_moral_ethical.pdf)
10. **Nine Most Dangerous Nuclear Power Plants Accidents.**  
<http://green-buzz.net/environment/9-most-dangerous-nuclear-power-plant-accidents/>
11. **Perlez, Jane.** North Korea Tests the Patience of Its Closest Ally. The New York Times, June 24, 2012.  
<http://www.nytimes.com/2012/06/25/world/asia/north-korea-tests-the-patience-of-its-ally-china.html?pagewanted=all>
12. **Pope John Paul II, Appeal for Peace.** February 25, 1981, Peace Memorial Park, Hiroshima. [http://www.acpp.org/sevents/0806\\_09c.html](http://www.acpp.org/sevents/0806_09c.html)

13. **Pope John-Paul II.** Message to the General Assembly of the United Nations.  
June 7, 1982.  
[http://www.acpp.org/sevents/0806\\_09c.html](http://www.acpp.org/sevents/0806_09c.html)
14. **Povoledo, Elisabetta.** Pope Calls for "Peace in All the World" in First Easter Message. New-York Times. March 31, 2013.  
[http://www.nytimes.com/2013/04/01/world/europe/pope-francis-calls-for-peace-in-all-the-world-in-first-easter-message.html?\\_r=0](http://www.nytimes.com/2013/04/01/world/europe/pope-francis-calls-for-peace-in-all-the-world-in-first-easter-message.html?_r=0)
15. **Weber, Mark.** Was Hiroshima Necessary?. The Journal of Historical Review, May-June 1997 (Vol. 16, No. 3), P. 8.  
[http://www.ihr.org/jhr/v16/v16n3p-4\\_Weber.html](http://www.ihr.org/jhr/v16/v16n3p-4_Weber.html)

دیدگاه رهبران روحانی مسیحی و مسلمان در مورد سلاح های هسته ای

چکیدہ:

نویسنده: دیوید براگوادزه<sup>۱</sup>

موضوع سلاح های هسته ای مشکل بسیار شناخته شده در سراسر جهان است. مقالات بسیاری منتشر شده است که نظرات سیاستمداران ، بسیاری از رهبران روحانی و کارشناسان را در مورد سلاح های هسته ای روشن می کند. از آنجایی که این دیدگاه ها اساسا همگی بر اظهارات رهبران مرکز شده ، می توانیم نظرات رهبران روحانی در جهان اسلام و مسیحیت را مقایسه کرده ، شbahat و تفاوت دیدگاه آنان را تبیین نماییم. رهبران دینی که در این بررسی مورد توجه بوده اند عبارتند از: پاپ پیوس دوازدهم، پاپ ژان پل دوم و پاپ بنديكت شانزدهم، رهبران عالی جمهوری اسلامی ایران: آیت الله روح الله خمینی و آیت الله علی حسینی خامنه ای، اسقف کلیسای ارتدکس روسیه کریل آی. اینان درباره ای مسائل مختلف جهانی و از جمله سلاح های هسته ای به اظهار نظر پرداخته اند و در بسیاری از موارد با توجه به در نظر گرفتن وضعیت سیاسی در کشور خود و در سراسر جهان اعلام موضع کرده اند. در این مقاله سعی شده است ضمن پاسخ به سوالات اصلی در این خصوص عوامل جداگانه در خلال نظرات رهبران روحانی در مورد سلاح های هسته ای با یکدیگر پیوند خورده نتیجه گیری واحدی ارائه گردد.

۱. دانشجوی دکتری مطالعات علوم انسانی دانشگاه دولتی تفلیس.

**David Bragvadze**

### **Christian and Muslim Spiritual Leaders about Nuclear Arms**

The problem of nuclear arms is a very popular topic all around the world. Apart from politicians and experts, many spiritual leaders express their opinion about this. There are published many articles in which political leaders express their opinion concerning nuclear weapons. However, most of them are focused on statements made by several spiritual leaders and we cannot see comparative analysis of these opinions and the factors that explain the arguments proposed by spiritual leaders. We intend to discuss this issue in wider context in the following article.

We analyse opinions of different spiritual leaders. Popes of Rome: Pius XII, John Paul II and Benedict XVI, Supreme Leaders of Islamic Republic of Iran: Ruhollah Khomeini and Ali Hosseini Khamenei, Patriarch of Russian Orthodox Church Kirill I. Issues are discussed in global context. One of the most important circumstances is the political situation. In many cases spiritual leaders are taking into consideration political situation of their countries as well as all around the world. We are trying to find answers to the main questions: What factors create differences of spiritual leaders' opinions on Nuclear Arms and which factors are drawing them together?

**Давид Брагвадзе**

### **Христианские и Мусульманские Лидеры Об Атомной Оружии**

Проблема ядерного вооружения вызывает огромный интерес для граждан всего мира и совершенно нормальное явление, когда по этому поводу мимо политиков и экспертов свое мнение фиксируют и высшие духовные иэрархи. Существуют много публикаций, в которых отражены мнения разных религиозных лидеров, но сравнительно малое внимание уделяется вопросов сближении разных позиций и анализ тех факторов, который способствует выделению позиции того или иного религиозного лидера. Мы полагаем, что невозможно рассуждать эту проблему односторонно и ее надо обязательно изучать в общем контексте. Именно этому глобальному видению проблемы и служить наша данная статья, в ней обсуждены позиции троих римских пап, рахбаров Иранской исламской Республики и патриарха России по поводу атомного оружия. Проанализирован тот реальность перед которым стоят духовные лидеры, когда фиксируют свою позицию во время публичных заявлений. Когда от разных лидеров мы слышим публичные заявления, надо учитывать вопросы внутренней и внешне политические интересы того или иного лидера и по нашему мнению, именно эти факторы определяют разные подходы или сближения позиций к одной проблеме.

## ზურაბ პრაგვაძე

### ადრეული შუა საუკუნეების ქართლში რელიგიათა ურთიერთობის ისტორიიდან

ადრეული (IV—VII) შუა საუკუნეები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ამ დროს დასაბამი მიეცა ბევრ ისეთ მოვლენას, რომელმაც კარდინალურად განსაზღვრა ქვეყნის განვითარების შემდგომი ბედი. ერთ ასეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოვლენას წარმოადგენდა ქრისტიანობის აღიარება სახელმწიფო სარწმუნოებად. ამ ისტორიულმა ფაქტმა თავისთავად გაამწვავა ურთიერთობა ზოროასტრულ ირანთან, რომლისთვისაც ცეცხლთაყვანის-მცემლობას გადამწყვეტი როლი ეკისრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესების დაცვისა და კავკასიაში პროირანული ორიენტაციის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების საქმეში. თითქმის სამსაუკუნოვანი იდეოლოგიური დაპირისპირება საქართველოში მაზდეანობასა და ქრისტიანობას შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. რელიგია და რელიგიის ფაქტორი ხშირად სცილდება სუფთა დოგმატურ საზღვრებს და იქცევა ხოლმე საქმაოდ რთული პოლიტიკური მიზნების მიღწევის მთავარ საშუალებად. თუ ჩავულრმავდებით ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას, მაშინ ძნელი შესამჩნევი არ იქნება, რომ სწორედ ამდაგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ირანის პოლიტიკურმა წრეებმა კავკასიაში გავლენის შესანარჩუნებლად, შეიძლება ითქვას, მოახდინეს ზოროასტრიზმის პოლიტიზირება და მისი ტრანსფორმაცია ისე, რომ მისი მეშვეობით სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ ქრისტიანობის, როგორც ახალი რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგიის მიმართ. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა V—VII საუკუნეებში, მაშინ როდესაც ვითარდებოდა საქართველოსა და ირანის კულტურულ—პოლიტიკური ურთიერთობების ყველაზე საინტერესო და ინტენსიური პერიპეტიოები. და სწორედ ამ დროს ირანის სამხრეთით, არაბეთის ნახევარკუნძულზე იბადებოდა და ძალას იკრებდა სრულიად ახალი რელიგია ისლამი. ბუნებრივია, ვერც ქართველი და ვერც ირანელი პოლიტიკოსები და რელიგიის მესვეურები ვერ ინინასწარმეტყველებდნენ და განსაზღვრავდნენ, რომ ქრისტიანობასა და ზოროასტრიზმს შორის უკიდურეს გამნვავებულ დაპირისპირებაში სწორედ ეს ახალი რელიგია შეასრულებდა “ე.წ. მედიატორის” როლს და ამ “ბრძოლის” ბედს ერთხელ და სამუდამოდ ქრისტიანობის სასარგებლოდ გადაწყვეტდა.

პრობლემის არსში უკეთ გარკვევის მიზნით საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ ამ სამივე რელიგიის როლი და მნიშვნელობა საქართველოს-თვის, განსაკუთრებით ჩვენთვის საინტერესო პერიოდში და შევეხოთ მაზდეანური ირანისა და მუსლიმური ხალიფატის პოლიტიკას სააქართველოს მიმართ.

ირან—საქართველოს ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს კონტაქტები ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში, აქემენიდების დინასტიის საანაში დაიწყო და საკმაოდ ინტენსიურად ვითარდებოდა მთელი წინაქ-

რისტიანული პერიოდის განმავლობაში. თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ აქემენიდების ირანმა უდიდესი როლი შეასრულა ძველი ქართული სახელმწიფოების, კოლხეთისა და იბერიის ჩამოყალიბების საქმეში და მნიშვნელოვნად განაპირობა მათი რელიგიურ—კულტურული სახე [ლორთქი-ფანიძე ოთ. 2002. გვ. 124-126]. მკვლევართა შორის დიდ დავას არ იწვევს ის რეალობა, რომ ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის კულტურა და რელიგია მტიდროდ იყო დაკავშირებული ირანთან და ამ ქვეყნებში ცეცხლთაყვანისმცელობა თუ მისი ცალკეული, ლოკალური გამოვლინებანი, ოფიციალურ რელიგიასაც კი წარმოადგენდა [გველესიანი მ. 2000. გვ. 49-60]. ვითარება არსებითად არ შეცვლილა არც შემდგომ ხანაში, სასანიდთა მმართველობის დროს. უკვე შაბურ I-ის დროიდანვე ქართული სამყარო აქტიურად მოექცა ირანის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში და ამ ეპოქის ირანის დიპლომატიაში გამორჩეული ადგილი დაიკავა [მელიქიშვილი გ. 1971. გვ. 413]. ირანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იბერიას (ქართლს) და კოლხეთს (ეგრის—ლაზიკას) მიენიჭა III საუკუნიდან, როდესაც იგი ჩაება საკმაოდ ხანგრძლივ ომში ბიზანტიასთან და ამ ორი მსოფლიო იმპერიის დავის საგანს ქართლისა და ეგრისის სამეფოებიც წარმოადგენდა. ამ კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენად გვესახება IV საუკუნის 20—30—იან წლებში ქართლში სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის გამოცხადება. აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების როგორც თეოლოგიურ, ასევე პოლიტიკურ და ქრონოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ჩვენი ამჟამინდელი მიზანი არ არის ამ განსხვავებული მოსაზრებების განხილვა და მათი ურთიერთშეჯერება, რადგან ეს საკმაოდ დიდ დროს და საგანგებო ნაშრომს მოითხოვს. ამჯერად იმ იბიექტური რეალობის გარკვევა გვაინტერესებს, თუ როგორ წარიმართა ურთიერთობა ახლად გაქრისტიანებულ ქვეყანასა და მის ოდინდელ მოკავშირე მაზდეანურ ირანს შორის.

საფიქრებელია, რომ ქართლის დასავლური ქრისტიანული მოკავშირე რომი (ბიზანტია) სათანადო ზომებს მიიღებდა ამ ქვეყანის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, რადგან ირანთან წინააღმდეგ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, მას ძლიერი ქართლი სჭირდებოდა და ამ მიზნით აქ ჯარებ-საც განალაგებდა, მაგრამ ბიზანტიური წერილობითი წყაროების (ამიანე მარცელიანე) ცნობებიდან ირკვევა, რომ 337 წელს იმპერატორმა ვალენტიმ ვესტგუთების აჯანყების გამო ქართლიდან ჯარი გაიყვანა და ქართლი ირანის პირისპირ დაუცველი დატოვა [ამიანე მარცელიანე. 1964. გვ. 101]. ცხადია, ირანის პოლიტიკური წრეები ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდნენ და მათ სათანადო ზომები მიიღეს, რათა საქართველოში საკუთარი გავლენა აღედგინათ. IV საუკუნის 70—იანი წლებისთვის ირანმა მთელი ქართლის დამორჩილება მოახერხა და ქვეყანას ხარკი დაადო [ჯანაშია ნ. 1973. გვ. 77-78].

V საუკუნის 40—იანი წლებიდან საქართველოსა და ირანის ურთიერთობების ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ პერიოდიდან ირანის სამეფო კარმა დაიწყო საკმაოდ აქტიური და ამავე დროს აგრესიული, პოლიტიკის

გატარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების და მათ შორის, ქართლის მიმართ. ირანის პოლიტიკური მიზნები მაქსიმალური და ამავე დროს ძნელად მისაღწევიც იყო. ირანის სამეფო კარი შეეცადა მთლიანად მოესპორ ის შინაგანი დამოუკიდებლობაც კი, რაც შერჩენილი ჰქონდათ კავკასიის ქვეყნებს და ისინი ექციათ ირანის რიგით პროვინციებად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მათ გადაწყვიტეს არაირანული სამყაროსაგან ამ ქვეყნების იზოლაცია, მათი კულტურის, ყოფისა და რელიგიის ტრანსფორმაცია ირანულ ყაიდაზე და მოსახლეობის სრული ასიმილაცია. ირანის სამეფო კარს აღნიშნული გეგმის განხორციელება თანმიმდევრულად ჰქონდა მოფიქრებული. თავდაპირველად მათ შემოიღეს საკმაოდ მძიმე სამხედრო ბეგარა და გაზარდეს გადასახადები. შეღავათი ეძლეოდათ მხოლოდ მათ, ვიზც ნებაყოფლობით უარს იტყოდა საკუთარ ეროვნულობაზე, ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლობაზე და აღიარებდა მაზდეანობას. აღნიშნული მიზნის მიღწევის საქმეში ირანის პოლიტიკური წრეები წარმატებით იყენებდნენ ქრისტიანულ ეკლესიასაც, რომელიც ცხადია, მათ უმთავრეს იდეოლოგიურ მონინააღმდეგეს წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული ეკლესია არ იყო ერთიანი ორგანიზმი, ერთიანი ისტიტუცია, არამედ მასში არსებობდა არაერთი მიმდინარეობა და ცალკეული მიმდინარეობის წარმომადგენლები უაღრესად მტრულად იყვნენ ერთნანეთის მიმართ განწყობილი. ბიზანტიელი ისტორიკოსი ამიანე მარცელიანე ხატოვნად შენიშნავდა, რომ “არც ერთი მხეცი ისე არაა გაბოროტებული ადამიანზე, როგორც ქრისტიანული სექტანტები ერთმანეთზე” [ამიანე მარცელიანე. 1964. გვ.114]. ორთოდოქსულ ქრისტიანულ მიმდინარეობას, რა თქმა უნდა, მთარველობდა კონსტანტინოპოლი, მაგრამ მას აღმოსავლეთში ჰყავდა უძლიერესი ოპოზიცია, რომელსაც მხარს უჭერდა ირანის სამეფო კარი და ყველანაირად ცდილობდა ცალკეული ქრისტიანული სექტის გაძლიერებას. ამ მხარდაჭერას ორი ფუნდამენტური, საკუთრივ რელიგიურ—იდეოლოგიური და პოლიტიკური, მომენტი განაპირობებდა. ქრისატიანული ერესის გაძლიერებით დასუსტდებოდა და შეირყეოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის მფარველობისქვეშ მყოფი ორდოქსალური ქრისტიანობა, რაც ზოგადად ამ რელიგიის დასუსტებასა და დაკნინებას გამოიწვევდა. ეს რეალობა კი თავის მხრივ მაზდეანობას საკმაოდ გაუადვილებდა მის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლას, რაც საბოლოო ჯამში ბიზანტიის პოლიტიკური დასუსტების ხელისშემწყობი გარემოება შეიქმნებოდა და ამ ორ სახელმწიფოს შორის გაუთავებელ ომში ირანი მიაღწევდა ძლევამოსილ გამარჯვებას.

V საუკუნის მეორე ნახევარში, შაჳ იეზდიგერდი II—ის დროს ირანის დამოკიდებულება ქრისტიანული ეკლესიის მიმართ ძირფესვიანად შეიცვალა და ადრინდელი მოჩერენებითი მოკავშირეობითი ურთიერთობა უკვე დიდ ანტაგონიზმში გადაიზარდა. ახლა ძნელია ზუსტად პასუხის გაცემა, თუ რატომ შეცვალა საკუთარი რელიგიური პოლიტიკა ირანმა ასე რადიკალურად. უფრო სავარაუდოა, რომ ირანის პოლიტიკური და რელიგიური წრეები მიიჩნევდნენ, რომ მათ შედარებით ლოიალურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ქრისტიანული ერესების მიმართ სასურველი შედეგი არ მოჰქონდა და თავის მხრივ, ვერც ეს ცალკეული სექტები ვერ ეწინააღმდეგე-

ბოდნენ ორთოქოქსალურ ქრისტიანობას ისეთი ძალით, როგორც ეს თავ-დაპირველად იყო ჩაფიქრებული. ამიტომ ირანის პოლიტიკა უფრო მიზან-მიმართული და ხისტი გახდა და მთავარ მიზნად იქცა მაზდეანობის ძალ-დატანებითი გავრცელება მთელ მოსახლეობაში. ამ მიზნის მიღწევის საქ-მეში ირანის მთავარ დასაყრდენად უნდა ქცეულიყო მათ მიმართ შედარე-ბით ლოიალურად განწყობილი დიდებულთა ფენა, რომელიც ჯერ თვითონ აღიარებდა არტოშანს, ხოლო შემდეგ საკუთარ ქვეშევრდომებს აიძულებ-და მის აღმსარებლობას. სწორედ ამ მეთოდით მიიღეს მაზდეანობა ქვემო ქართლის პიტიახში არშუშამ და მისმა მთელმა ოჯახმა. შემორჩენილი და ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ცნობების მიხედვით შეჰვიძლია დაბე-ჯითებით ვიფიქროთ, რომ სწორედ პიტიახში არშუშაა პირველი ქართველი დიდებული, რომელიც ქტეზიფონში ეახლა შაჰს, ცეცხლისთაყვანისცემა აღიარა და დაპირდა, რომ მთელ თავის ოჯახს და ქვეშევრდომებსაც აი-ძულებდა ანალოგიურად მოქცეულიყვნენ. იეზდიგერდი II—მ არშუშას თან გამოაყოლა ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები, რომლებსაც დიდი მი-სია ეკისრებოდათ. მათ უნდა დაეხურათ ქრისტიანული ეკლესიები, მათ-თვის ჩამოერთმიათ საეკლესიო სიმდიდრე და გადაეცათ ირანის სამეფო ხაზინისათვის, უნდა გაერეკათ მთელი ქრისტიანული სამღვდელოება და სამუდამოდ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა საქართველოში. მოგვებს ასევე უნდა დაეარსებინათ სკოლები, სადაც მაზდეანობა უნდა ესწავლებინათ როგორც დიდებულების, ასევე მდაბითათვისაც და მოსახლეობაში გაევ-რცელებინათ ქორწინების, დასაფლავებისა და სხვა მაზდეანური ყოფითი წეს—ჩვეულებები [ჯანაშია ნ. 1973. გვ. 85-86]. რა თქმა უნდა, აღნიშნული რეალობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დიდ პროტესტს იწვევდა და ხშირი იყო აჯანყებები საკუთარი უფლებებისა დ ანეს—ჩვეულებების დასაცავად. V—VI საუკუნეების განმავლობაში არაერთი აჯანყება მოხდა, რომელიც მიმართული იყო ირანის ასეთი დაუფარავი პოლიტიკური და რელიგიური აგრესის წინააღმდეგ, მაგრამ თავისი მასშტაბით და მნიშ-ვნელობით სრულიად უნიკალურია 523 წლის აჯანყება. სწორედ ამ წელი-წადს ქართლის მეფე გურგენს ირანის შაჰმა კავად I შემოუთვალა, რომ მთელი მოსახლეობა მაზდეანურ წეს—ჩვეულებაზე გადასულიყო და ყვე-ლაფერში ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ეს ირანელებში იყო მიღებული და მიცვალებულებიც მინაში კი არ დაემარხათ, არამედ ფრინველებისა და ძალლებისთვის გადაეგდოთ. ამ პირობების მიღება და მით უმეტეს შესრუ-ლება, ქრისტიანი მეფისთვის, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო და ამიტომაც გურგენმა აჯანყებაზე დაიწყო ფიქრი და მზადება. მან თხოვნით მიმართა ბიზანტიის კეისარს იუსტინე II-ს, რათა მას დახმარება აღმოეჩინა ამ ბრძოლაში. იმპერატორმა მეფეს შემოუთვალა, რომ არასოდეს ბიზანტიე-ლები ირანელების ხელში არ ჩაგდებდნენ ერთმორწმუნე ქართველებს და ამ შემონათვალით გათამამებულმა გურგენმა აჯანყებაც დაიწყო, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლების წინ ბიზანტიიდან მოსული დამხმარე ძალა იმდე-ნად მცირერიცხოვანი აღმოჩნდა, რომ გურგენმა ბრძოლაც კი ვერ გაუ-მართა ირანელებს და იძულებული გახდა სამშობლოდან გაქცეულიყო. ერ-თად—ერთი რაც ბიზანტიის იმპერატორმა მას შესთავაზა იყო მისთვის და მისი ოჯახისათვის პოლიტიკური თავშესაფარი და მეფური პატივით ცხოვ-

რება კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში კი ირანის შაჰმა სამეფო ხელისუფლება საერთოდ გააუქმა და აღმოსავლეთ საქართველო გამოაცხადა ირანის უშუალო პროვინციად და მას სათავეში ჩაუყენა ირანელი მოხელე — მარზპანი [პროკოპი კესარიელი. 1965. გვ. 49]. ამიერიდან სწორედ ეს სახელმწიფო მოხელე განაგებდა ქართლის პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ნიუანსებს.

ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მკვლევარ მეცნიერებს გარკვეულწილად უჭირთ იმის აღიარება, რომ VI საუკუნის, უმეფობის ეპოქის ქართლში სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა მაზდეანობა. საკითხი საკმაოდ მარტივი და იოლად ასახსნელია. ირანის პოლიტიკურმა წრეებმა როგორც იქნა მიაღწიეს თავის სანუკვარ ოცნებას და აქ მეფობა გააუქმეს, რითაც ქართლი უშუალოდ დაუმორჩილეს კტეზიფონის სამეფო კარს. ასეთ პირობებში კი ნაკლებად სავარაუდო და თითქმის დაუჯერებელია, რომ მათ სახელმწიფო რელიგიის რანგში დაეტოვებინათ ქრისტიანობა და ქრისტიანული ეკლესისთვის შეექმნათ ისეთივე მყარი ხელშეუხებლობის გარანტიები, როგორც ეს ხდებოდა ქართლის ქრისტიანი მეფეების მხრიდან.

წერილობითი წყაროების არაპირდაპირი ცნობები და შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ VI საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობის უფლებრივი მდგომარეობა ბევრად აღემატებოდა ქრისტიანობის დონეს. დღეს თითქმის საკამათო არ არის ის რეალობა, რომ ქართლის ყოფილი სამეფოს მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრებში მაზდეანობას მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ისეთ ცნობილ დასახლებებში როგორიცაა მცხეთა, თბილისი, ნეკრესი, ნიქოზი და სხვ. ენთო ზოროასტრული ცეცხლი. ამ ვითარებას, როგორც აღინიშნა, ადასტურებენ არქეოლოგიური აღმოჩენებიც. მაგ. შიდა ქართლში, დღევანდელ სოფელ არადეთთან არქეოლოგები დიდი ხანია შეისწავლიან I საუკუნის სასახლის კომპლექსს, რომელიც თავის მხრივ დაფარულია IV—VI საუკუნეების კულტურული ფენით. ეს ფენა მნიშვნელოვანია სწორედ ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის სფეროდან. აღსანიშნავია, რომ აქ გამოვლენილია დიდი ოდენობით ნაცარი და საკურთხევლების ნაშთები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ, რომ ხსენებულ პერიოდში ამ მიდამოებში ქრისტიანობის ჭაჭანებაც არ იყო და მოსახლეობა მტკიცედ მისდევდა ცეცხლთან დაკავშირებულ რელიგიურ კულტმსახურებას [გაგოშიძე ი. 1999. გვ. 154].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ერთი შეხედვით ძნელი წარმოსადგენია საკუთრივ სასანურ ირანში VI—VII საუკუნეებში განვითარებული მოვლენები და ირანის ხელისუფალთა დამოკიდებულება საკუთარი სარწმუნოების მიმართ. ამ პრობლემით დაინტერესებული მკვლევარები მიიჩნევენ, რომ VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანში თავი იჩინა ეკონომიკური დაქვეითების ნიშნებმა, რის საფუძველსაც წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიაში აბრეშუმის ჭიის გავრცელება. ამ ფაქტმა საშუალება მისცა ბიზანტიელებს ადგილზე დაეწყოთ აბრეშუმის წარმოება, რამაც ირანს მოუსპო აბრეშუმით ვაჭრობის მონოპოლია. აქედან გამომდინარე თანდა-

თან უწინდელი მნიშვნელობა დაკარგა ირანზე გამავალმა სავაჭრო—სატ-რანზიტო გზამ, რომლის გასწვრივ მრავლად იყო სწორედ აბრეშუმის ვაჭ-რობით გამდიდრებული ქალაქები და სახელმწიფოს უდიდესი ეკონომიკუ-რი ზარალი მიადგა. სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დონის დაქვეი-თებამ გავლენა იქონია ირანის რელიგიაზეც, რადგან შექმნილ ახალ რეა-ლობაში ოდინდელი მაზდეანობა ვეღარ პასუხობდა დროის მოთხოვნებს და VI—VII საუკუნეებში იგი თანდათანობით ცვლილებებს განიცდიდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაზდეაობის ძალდატანებითი გავრცელების პოლიტიკამ თითქმის კრახი განიცადა და როგორც უკვე ვთქვით, ირანის ხელისუფალნი აიძულა ახალი საგარეო რელიგიურ-იდეოლოგიური პოლი-ტიკა შეემუშავებინათ. მაგრამ ცალკეული ქრისტიანული ერესების წახა-ლისების პოლიტიკამ ირანისთვის და კერძოდ, მაზდეანობის გავლენის გაზრდისთვის სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, რადგან თავად ირანში მაზდეანობას საკმაო საფრთხე შეუქმნა ნესტორიანულთა ქრისტიანული ეკლესიის დიდმა პოპულარობამ და ამ სექტის სწრაფმა ზრდამ. ასეთი ვი-თარების შექმნას რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, ხელს უწყობდნენ თვით ირანის შაჰები. პორმიზდ IV აღნიშვადა, რომ ქრისტიანული სარ-წმუნოება ირანის სახელმწიფოსთვის ისეთივე დასაყრდენს წარმოადგენ-და, როგორც—მაზდეანობა, ხოლო ხოსრო II-ის კარზე ტრაპეზის კურთხე-ვა წარმოადგენდა ქრისტიანი პარტიარქის უფლებას. ყოველივე ეს გარე-მოება ცხადია, იწვევდა ირანში ქრისტიანობის გავლენის გაზრდას და შემ-თხვევითი არ არის, რომ VI—VII საუკუნეებში მოსახლეობის უკვე საკმაოდ ნაწილს სწორედ ქრისტიანები შეადგენდნენ [გაბაშვილი ვ. 1957. გვ.50—51]. ამ ვითარებას კარგად ადასტურებს ხოსრო II-ის დროს საგან-გებო კანონის გამოცემა, რომლის ძალითაც აიკრძალა მაზდეანური რელი-გიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა. ყოველივე ეს კი თავის მხრივ, გზას უკაფავდა ირანში მონოთეისტური რელიგიის დამკვიდრებას. ირანისა და ბიზანტიის ისტორიის დიდი მკვლევარის ნ.პიგულევსკაიას შე-ნიშვნით, ის რაც ქრისტიანობამ დათესა ირანში, მოიმკო ისლამმა [Пыгулевская Н. 1954. გვ. 248], ამიტომ შემთხვევითი არ არის ირანში ისლა-მის სწრაფი გავრცელება, რადგან ჯერ ერთი, აქ უკვე შემზადებული იყო ნიადაგი მონოთეიზმისთვის და მეორე და არსებითი, ისლამი, როგორც პროგრესირებადი რელიგია, უკეთ შეესაბამებოდა მოსახლეობის ფართო მასების ინტერესებს და გაცილებით გასაგები და ადამიანური იყო მათ-თვის, ვიდრე არაერთგზის ტრანსფორმირებული ზოროასტრიზმი.

ისლამის წარმატებით დანერგვას ხელს უწყობდა მისი შემწყნარებ-ლური და არააგრესიული ხასიათიც.

უეჭველი ფაქტია, რომ ქართველებისთვის ისლამი ცნობილი გახდა ამ რელიგიის დაბადებისთანავე და მასთან პირველი კონტაქტები მოხდა 654 წელს, როდესც საქართველოში გამოჩნდნენ არაბები. სწორედ ამ პირ-ველი კონტაქტებისათანავე ნათელი გახდა ისლამის ტოლერანტული და-მოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და ეს რეალობა აი-სახა დიპლომატიურ ტრაქტატში, რომელიც ცნობილია ჰაბიბ-იბნ-მასლა-მას “დაცვის სიგელის” სახელწოდებით, საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ მუჰამედის მოძღვრების აღიარება ქართული მოსახლეობის მხრიდან ნება-

ყოფლობით ხასიათს ატარებდა და ასეთი პირი ისლამის მიმდევართა ტო-  
ლი და თანასწორი ხდებოდა და შესაბამისად, ყველა იმ შეღავათით სარ-  
გებლობდა, რითაც ისლამის ნებისმიერი აღმსარებელი [ბოგვერაძე ა. 1973.  
გვ. 295].

როდესაც ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში მაზდეანობისა  
და ისლამის შესახებ ვმსჯელობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია  
ერთი არსებითი გარემოება, რომელმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქო-  
ნია ამ რელიგიებისადმი ქართველთა დამოკიდებულებასა და მათ მიმართ  
ქრისტიანი მოსახლეობის განწყობაზე. ალბათ სიახლე არ იქნება, თუ აღ-  
ვნიშნავთ, რომ მონოთეიზმის მქადაგებელი ისლამი მენტალობის თვალ-  
საზრისით გაცილებით ახლოს დგას ქრისტიანობასთან, ვიდრე პოლიტეის-  
ტური ზოროასტრიზმი. შესაძლებელია სწორედ ამ რეალობამ გამოიწვია  
საქართველოში საუკუნეების მანძილზე ერთგვარი მშვიდობიანი თანაარ-  
სებობა ქრისტიანობასა და ისლამს შორის.

### დამონაბეჭლი ლიტერატურა:

**ამიანე მარცელიანე.** 1964. ამიანე მარცელიანე, ცნობები საქართველოს  
შესახებ. “გეორგიკა I” თბ. 1964

**ბოგვერაძე ა. 1973.** ა. ბოგვერაძე, ადრეფეოდალური ქართული სახელმწი-  
ფოები VI—VIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II.  
თბ. 1973

**გაბაშვილი ვ.** 1957. ვ. გაბაშვილი, სასანური ირანის სახელმწიფო. ნარკვე-  
ვები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ. 1957

**გაგოშიძე ი.** 1999 ი. გაგოშიძე, ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების ის-  
ტორიისთვის. ლიტერატურა და ხელოვნება. 2. თბ. 1999.

**გველესიანი მ.** 2000. მ. გველესიანი, არმაზის კერპის საკითხისათვის. სა-  
ქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის “ნარკვევები” VI.  
თბ. 2000

**ლორთქიფანიძე ოთ.** 2002. ო. ლორთქიფანიძე, ქართული ცივილიზაციის  
სათავეებთან. თბ. 2002

**მელიქიშვილი გ.** 1971. გ. მელიქიშვილი, ქართლის სამეფო I—III საუკუნე-  
ებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1971

**პროკოპი კესარიელი.** 1965. პროკოპი კესარიელი, ომი გუთებთან. “გეორ-  
გიკა II”. თბ. 1965

**ჯანაშია 6.** 1973. ლ. ჯანაშია, აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV—V  
საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973

**Пыгулевская Н.** 1954. Пыгулевская Н. Византия И Иран. М. 1954

### روابط مذهبی ایران و کارتلی

نویسنده: دکتر زوراب براغوادزه<sup>۱</sup>

چکیده:

اوایل قرون وسطی از دوره های کلیدی در تاریخ گرجستان است. بیشترین وقایع تاریخی در آن زمان در قالب مذهب خود را نشان داده است. درا ین دوره زمانی است که نظام کشور به صورت رسمی از پادشاهی کارتلی به دین مسیحیت تغییرپیدا کرد. این رویداد نقش منفی در روابط گرجستان و ایران ایفا کرد، زیرا ایران شریک سابق پادشاهی کارتلی در مبارزه با امپراطوری بیزانس بود. سیاستمداران آن زمان در صدد فعال سازی پایه های اصلی ایدئولوژیک زرتشتی، در گرجستان بودند. منابع اولیه نشان می دهد که مسیحیت تحت آزار و اذیت های دولتمردان زرتشتی بود. کارتلی در 523 میلادی درگیر شورش عمومی شد و از دولت بیزانس در برابر این شورش کمک خواست اما هیچ کمکی دریافت نگردید. در طول مدت زمانی که زرتشت آشکارا در برابر کلیساها بیزانسی مبارزه می کرد، به دور از تصویرهای این کشورها دنیا شاهد تولد دین جدیدی در شبه جزیره عربستان به نام اسلام شد که بسیار سریع بخش های از جهان را فراگرفت. بدین وسیله دین اسلام خیلی زود دین رسمی کشور زرتشت ایران اعلام گردید و پس از آینین زرتشتی در این منطقه، اسلام به عنوان دین جدید مستقر شد و پس از آن، زرتشت به عنوان ابزار سیاسی به حاشیه رفت و زمینه و دین اسلام بستر زیست مسالمت آمیز اسلام و مسیحیت در گرجستان و سایر مناطق را فراهم کرد.

<sup>1</sup>. استاد دانشگاه بین المللی قفقاز.

Zurab Bragvadze

### **About Religious Relationships in Kartli Kingdom of the Middle Ages**

The Early Middle Ages is one of the important periods in the history of Georgia. This is the era when Christianity became state religion of the Kartli Kingdom. This event had negative role in Georgia-Iranian relationships, because Iran lost a devoted partner in struggle against the Byzantine Empire. Iranian politicians started activation of their main ideological basis – Zoroastrianism. They tried to spread it in Georgia.

The historian sources of the Early Middle Ages and hagiographical literature show that Christianity was under the persecution by Zoroastrianism. King Gurgen of Kartli started general revolt against Iranian religious policy in 523. Gurgen asked Byzantine for assistance, but did not receive any aid. His revolt has collapsed. Gurgen left the country and Shah Kavad abolished the kingdom of Kartli.

In 523 year started one of the most difficult periods for the Georgian church and Georgian nation. Iran protected various Christian sects like Nestorianism and used them against traditional Christianity.

During the period when Iran was openly fighting against the Byzantine and the Georgian churches, leaders of these states could not imagine that a new religion-Islam was born on the Arabian Peninsula, which was reinforcing very fast. Very soon Islam became a state religion in the territory of Iran and Zoroastrianism was no longer a political instrument. Supposedly, we can say that this factor could create multiple conditions for peaceful existence of Christianity and Islam in Georgia.

Зураб Брагвадзе

### **Из Истории Взаимоотношени Религии В Картлиском Царстве Раннего Средневековья**

Ранние средние века является одним из ключевых периодов истории Грузии.  
Самый

знаменательный исторический факт этой времени представляет себя провозглашения христианство официальной религией грузинского государства. Это события не отражалось положительно на процессах грузино-иранских отношениях. Иран потерял верного союзника в лице Картлийского царства против военно-политических отношениях Византии. Политические круги Ирана христианству противопоставили зороастризм, как мощное оружие и главная идеологическая опора этого государства. Дошедшие до нас исторические источники (исторические летописи и гагиографическая литература ранних средних веков Грузии) очевидно показывают, что в V-VI веках христианская религия в Грузии испытывала трудный период, так как правители Ирана из за всех сил старались сменить христианство зороастризмом. Против такой политики Ирана царь Картли Гурген в 523 году началъ всеобщую восстанию, но от Византии он не получалъ не какой военной поддержки и вынужден былъ покинут страну, в результате чего шах Кавад упразднил Картлийское царство объявил ее составной частью (кустаком) Ирана. Без всякого сомнения можно предположать, что этот период былъ одним из труднейшим этапом как для грузинской христианской церкви, так и для Грузии вообще. Иран всяческий поощряль разные христианские секты (например Несторянство) и тем самым ослабляль традиционное, ортодоксальное направление так как и Грузия и Византия были вернимы защитниками ортодоксального направления. В то время, когда Иран так открыто боролься против грузинской христианской церкви, правители этой страны не смогли себе представить, что на Аравском полуострове родилось новая и мощная религия Ислам, которому суждену было загробить Зороастризм и перевести Ирана на новой вере и по нашему мнению, именно этот фактор сыгралъ важнейший роль в деле поражении зороастрийской идеологии в Картлийском царстве.

## ნანი გელოვანი

### ქალის უფლებები ადრეულ ისლამში

კაცობრიობის მთელ ისტორიაში, უძველესი დროიდან დღემდე მიმდინარეობს შეუნელებელი ბრძოლა ქალისა და მამაკაცის ოჯახური, საზოგადოებრივი, უფლებრივი და პოლიტიკური თანასწორობის დადგენისა და განმტკიცებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებაში ქალს განსხვავებული უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა ჰქონდა. ყოველივე ეს დამოკიდებული იყო კონკრეტული ხალხის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეზე, რელიგიურ შეხედულებებზე, რწმენა-წარმოდგენებსა და რიგ სხვა ფაქტორებზე.

მუსლიმი იდეოლოგებისათვის, როგორც ტრადიციონალისტებისათვის, ისე მოდერნისტებისათვის, დამახასიათებელია ქალებთან დამოკიდებულებაში ორი განსხვავებული თვალსაზრისი: ა) ისინი მხარს უჭერენ ქალის ბიოლოგიური და გონებრივი ჩამორჩენილობის მოძველებულ კონცეფციას და ხედავენ ქალში მხოლოდ დედას და ცოლს. ბ) ან ისინი ქალის სტატუსის იდეალიზებას ცდილობენ და ამტკიცებენ, რომ ისლამმა მისცა ქალს ისეთი უფლებები, რომლებიც უცნობია ქალებისათვის ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში.

მართალია, ისლამმა ბევრი რამ დაისესხა ისლამამდელი ხანის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, ქრისტიანობიდან და იუდაიზმიდან, ის ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ამ მონოთეისტური რელიგიისათვის.

ისლამი წარმოიშვა VII ს. I - მესამედში, არაბეთის ნახევარკუნძულზე. ის იქადაგა მუჰამადმა, რომელმაც ახალ სარწმუნოებაზე მოაქცია ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი. თავდაპირველად ისლამის პროპაგანდა ფარულად მიმდინარეობდა. ქალები მამაკაცებისაგან განცალკევებით არ ერთვებოდნენ რელიგიურ მოძრაობაში. თუმცა ადრეულ პერიოდში მათ ჰქონდათ გარკვეული რელიგიური თავისუფლება — ქალს შეეძლო მიეღო ან უარი ეთქვა ახალ რწმენაზე თავისი ქმრის, ძმის, მამის ან პატრონის სურვილის საწინააღმდეგოდ. იბნ სა'დთან მოცემულია ბიოგრაფია 117 ქალისა, რომელთაც ჰიჯრამდე მიიღეს ისლამი და 12 ქალისა, რომლებიც გამუსლიმდნენ ჰიჯრის შემდეგ - მუჰადის მიერ მექის აღების (630წ.), ან მისი „გამოსათხოვარი ჰილიგრომობის“ დროს (632წ.) (Ibn Sa'd, n.d.). ქალებმა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მონაწილეობა მიიღეს ისლამის გავრცელების საქმეში. რაც შეეხება რელიგიურ ვალდებულებებს, ის ერთნაირი იყო ორივესათვის — ქალებისა და მამაკაცებისათვის. მუსლიმი ქალების რწმენისადმი ერთგულებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუსლიმური თემის ფორმირებაში. მუჰამადმა პირადი მაგალითით თავისი ცოლებისა და ქალი მიმდევრებისადმი განამტკიცა, რომ მათ მონაწილეობა

უნდა მიიღონ მუსლიმური საზოგადოების სოციალურ, რელიგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (G. Stern 1939:290-305).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მუსლიმ ქალთა აქტიური რელიგიური როლის განმსაზღვრელი გახდა მათი მონაწილეობა ყურანის რედაქციაში. ხალითა უმარ I-მა (634-644) ყურანის ტექსტი გადასცა თავის ქალიშვილს — ჰაფსას, მუჰამადის ერთ-ერთ ცოლს. მოციქულის რამდენიმე კომპანიონს ჰქონდა ამგვარი ნუსხა, მაგრამ ჰაფსას ტექსტი გათვალისწინებულ იქნა ყურანის კანონიკური რედაქციის შედგენაში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ყურანის — მუსლიმთა წმინდა წიგნის პირველი რედაქცია, შესანახად გადაეცა ქალს. შესაძლებელია სხვა ქალებმაც, რომლებიც ესწრებოდნენ მუჰამადის ქადაგებებს მეჩეთში, გამოიყენეს თავიანთი ცოდნა ყურანის კანონიკური რედაქციის შედგენისას (U. Rubin 2003:397-398; N. Abbott 1942:106-126; G. Stern 1939:78-79).

ყურანის სოციალური კანონები განსაზღვრავს ქალის უფლებებსა და მოვალეობებს. ყურანის მეოთხე სურა ატარებს სახელს — ნისა' (ქალები). ეს სურა მოიცავს 176 აიას. ამის გარდა ათამდე სურა ეძღვნება ქალებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ყურანი და რელიგიური ტექსტები დიდ ყურადღებას უთმობს მუსლიმ ქალებს. ყურანი გამუდმებით საუბრობს „მუსლიმ მამაკაცებზე“ და „მუსლიმ ქალებზე“, „მორნმუნე მამაკაცებზე“ და „მორნმუნე ქალებზე“ [33:35]. თვითონ ყურანში არის გაცხადებული, რომ მორნმუნენი და ღვთისმოსავები სქესის განურჩევლად, დატკბებიან იმქვეყნიურ ცხოვრებაში.

პირველი, ვინც მიიღო ისლამი მუჰამადის შემდეგ, იყო ქალი (ხადიჯა ბინთ ხუვაილიდ — მუჰამადის პირველი ცოლი); პირველი წამებულის პატივი ისლამში წილად ხვდა ქალს (სუმაია ბინთ ხუბბატ); პირველი, ვისაც მოციქულმა განუსაზღვრა სიცოცხლეშივე სამოთხეში მოხვედრა იყო ქალი (უმმ აიმანი). პირველი წმინდანი ისლამში იყო ქალი (რაბი' ალ-ადავიდა), რამაც ხელი შეუწყო ღვთისმოსავი ქალის იდეალის ჩამოყალიბებას ისლამში. ყურანში ყველა მოციქული და წინასწარმეტყველი, ადამიდან მუჰამადამდე, იყვნენ მამაკაცები. ღმერთის მიერ დედამიწაზე რჩეული წარგზავნილების ისტორიის გადმოცემისას, ყურანი საუბრობს ქალებზე, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამა თუ იმ მოციქულთან, თუ წინასწარმეტყველთან. მარიამი ერთადერთი ქალია, რომელიც ყურანში სახელითაა მოხსენიებული. არც ერთ წმინდა წიგნს არ მიუცია ქალისათვის ასეთი მაღალი რელიგიური სტატუსი. ყურანში ჩამოყალიბდა ქალის იდეალი მარიამის სახით, რომელიც არის „მორნმუნეთა მაგალითი“ თავისი სიწმინდით, მორჩილებით და რწმენით. ყურანი მხოლოდ ორ ქალს სცნობს სრულყოფილად: მარიამს — იესოს ('ისას) დედას და ასიას — ფარაონის მეულლეს. მოციქულის არც ერთი ცოლი სახელით არ იხსენიება მუსლიმთა საღვთო წიგნში. თუმცა ყურანი სპეციალურად მიმართავს მოციქულის ცოლებს მრავალ შემთხვევაში. მათი ცხოვრების შესწავლა ადასტურებს,

რომ თითოეული მათგანი იყო ღვთისმოსავი, მორწმუნე ქალი, რის გამოც ალაპმა დააჯილდოვა ღვთიური მადლით — გამხდარიყო ალაპის მოციქულის ცოლი. ყურანში ფატიმა არ იხსენიება სახელით, მაგრამ კლასიკური ეგზეგეტური ტრადიცია გარკვეულ აიებს უკავშირებს მას და მის ოჯახს [3:195, 55:19, 92:3, 33:33, 3:61]. ფატიმას გამორჩეულ მდგომარეობას ძირითადად შიიზმა შეუწყო ხელი. ამასთან, ადრეულ მუსლიმურ წყაროებში მის პრივილეგირებულ მდგომარეობას ხელს უწყობდა მამა, ხოლო მოგვიანებით ქმარი — ალი ბ. აბი ტალიბი. ამდენად, ფატიმა იყო შიიტთა პირველი იმამის ცოლი, მეორე და მესამე იმამის (ჰასანი და ჰუსაინი) დედა, რაც მთავარია, ისლამის მოციქულის — მუჰამადის ქალიშვილი და მისი ერთადერთი მემკვიდრე. ტერმინი „აჰლ ალ-ბაით“ — ყურანში იხმარება იბრაჰიმის სახლის მცხოვრებთა [11:76/73] და მუჰამადის სახლის „ოჯახის“ მნიშვნელობით. შიიტებისათვის „აჰლ ალ-ბაით“ მოციქულის ოჯახის სინონიმია და მასში გულისხმობენ ფატიმას, ალის, ჰასანს და ჰუსაინს. ამასთან, მუჰამადი ფატიმას ალიარებს მისი ოჯახის, „საუკეთესო წევრად“ „ჩემს ნანილს“ უწოდებს და განმარტავს, რომ „ვინც მას აწყენინებს, მეც მაწყენინებს“ (J. McAuliffe 1981:19-28; M. al-Bukhari 1973: 5/50).

ყურანში და მუსლიმურ რელიგიურ ლიტერატურაში განსაზღვრულია ქალის უფლებები, რაზედაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქალის სტატუსი საზოგადოებაში — ეს არის ქორწინების, განქორწინების, მემკვიდრეობის და განათლების უფლება.

მუსლიმური ქორწინების განმასხვავებელი ნიშანი არის პოლიგამია. სხვა წმინდა წიგნებისაგან განსხვავებით ყურანის პოზიცია პოლიგამიასთან დაკავშირებით ნათელია — მამაკაცს შეიძლება ჰყავდეს 4 კანონიერი ცოლი. თუმცა ეს ნებართვა შეზღუდულია იმით, რომ სამართლიანად უნდა მოექცეს ყველა ცოლს. თვითონ მუჰამადს ალაპმა განუსაზღვრელი რაოდენობის ცოლების ყოლის ნება დართო. ისლამური მრნამსით, ქორწინება (ზავაჯ) ღვთისათვის სასურველ საქმედ ითვლება და დაშვებულია ყველა-სათვის, მათ შორის არასრულწლოვანთა და ჭკუასუსტებისათვის, რომელთა ნაცვლად ამას წყვეტენ მათი მეურვეები და შუამავლები. ქორწინება, ოჯახი — ეს ალაპის მიერ ბოძებული სიკეთეა. ისლამში იკრძალება ბერ მონაზვნობა ქრისტიანული გაგებით, როცა ადამიანი აპსოლუტურად უარს ამბობს ამქვეყნიურ სიკეთეებზე, განცალკევდება თავისი ოჯახისა და მშობლებისაგან და თავს უძღვნის ალაპის სამსახურს. მუსლიმ მამაკაცს შეუძლია იქორწინოს ქრისტიან ან იუდეველ ქალზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილები მუსლიმებად გაიზრდებიან და ცოლს მემკვიდრეობაზე უფლება არ ექნება. მუსლიმი ქალი კი მხოლოდ ერთმორწმუნე მუსლიმზე შეიძლება გათხოვდეს. აკრძალულია ქორწინება სისხლის ნათესავებს შორის. მათ შესახებ მოხსენიებულია ყურანის 4:23 აიაში: „გეკრძალებათ თქვენ ცოლად თქვენი დედები, თქვენი ქალიშვილები, თქვენი დები, თქვენი მამიდები და დეიდები, თქვენი ძმისშვილები და დისშვილები, თქვე-

ნი ძიძები, რომელთაც ძუძუ გაწოვეს, თქვენი ძუძუმტე გოგონები და დე-დები თქვენი ცოლების და გერები — თქვენი აღ ზრდილები, რომელთა დე-დებთან გქონდათ ცოლ ქმრული კავშირი. თუ ჯერ კიდევ არ შესულხართ მათთან საქორნინო ურთიერთობაში, მაშინ არ არის ცოდვა თქვენზე, თუ დაქორნინდებით გერებზე. თქვენ გეერძალებათ ცოლები თქვენი ღვიძლი ვაჟების და თქვენ გეერძალებათ ერთდროულად იქორნინოთ ორ დაზე იმის გარდა თუ ეს უკვე ადრე მომხდარა. ალაპი შემწყნარებელია, მწყალო-ძელი”.

ქორნინების დროს აუცილებელია ქორნინებაში შემავალ პირთა თან-ხმობა. პირველი ქორნინების დროს საპატარძლო თანხმობას აძლევს მამის ან მეურვის (ვალი) საშუალებით, ხოლო ქვრივი ან გაყრილი — თვითონ, ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით. მთავარი და დამახასიათებელი მხოლოდ ისლამური ქორნინებისათვის არის მაჰრი — საქორნინო საჩუქარი. მაჰრი არის ქონება, რომელიც ქმარმა უნდა გამოუყოს ცოლს თანას-ნორუფლებიანი ქორნინების თანახმად. მაჰრი კანონიერი ქორნინების მთავარი პირობაა და განიხილება, როგორც საფასური ცოლისათვის ცოლ-ქმრული ურთიერთობის შესრულების გამო. მაჰრი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფულადი სახის, არამედ ყოველგვარი მატერიალური ღირე-ბულების მქონე ნივთი. მაჰრის გადახდა შეიძლება ან ერთბაშად, მოლაპა-რაკებისთანავე ან ნაწილობრივ ან უკიდურეს შემთხვევაში, განქორნინე-ბისას. მოციქულ მუჰამადის ქალიშვილებმა მიიღეს მცირე მაჰრი. საკმა-რისია ითქვას, რომ ალიმ მოციქულის საყვარელ ქალიშვილს — ფატიმას საჩუქრად მიართვა საკუთარი ჯავშანი ან სხვა გადმოცემით, 400 დირჰა-მი.<sup>1</sup> თუმცა მუჰამადის შვილიშვილი (ფატიმასაგან) — უმმ ქულსუმ ბინთ ალი გათხოვდა ხალიფა უმარ I-ზე და მიიღო მაჰრის სახით 10 000 ოქროს დინარი, რადგანაც მისი მამა იმ დროს მდიდარი იყო (A. Hekmat 1997:118). საქორნინო ასაკი განსაზღვრული არ არის. მაგალითად, აიშა იყო 9 წლის, როცა მუჰამადმა იქორნინა მასზე.

ისლამი მიუთითებს მამაკაცებს, კარგად მოექცნენ ქალებს. შიიტთა მეექვსე იმამის — ჯა'ფარ ას-სადიკის (გარდ. 765 წ.) თანახმად, მუჰამადმა ხაზი გაუსვა თავის დამოკიდებულებას ქალებისადმი ამ სიტყვებით: „ეს არის მოციქულთა ჩვევა, უყვარდეთ ქალები“ (The Muslim Family 1988:38). მუჰამადმა ასე მიმართა მამაკაცებს: „ყოველთვის მოექეცით ქალებს კარ-გად, რადგანაც, ჭეშმარიტად, ქალი შექმნილია ნეკნისაგან, ყველაზე მეტი გამრუდებით კი გამოირჩევა მისი ზედა ნაწილი და თუ შენ შეეცდები გაას-ნორო ნეკნი, მაშინ გატეხავ მას. ხოლო თუ დატოვებ მას, როგორც არის,

<sup>1</sup> გადმოცემით, ‘ალიმ გაყიდა თავისი ჯავშანი 400 ან 480 დირჰამად და გადასცა ეს თანხა მოციქულს. მუჰამადმა სთხოვა რამდენიმე მამაკაცს და ქალს (მათ შორის თავის ცოლებს — აიშას და უმმ სალამას) შეეძინათ სამოსი საპატარძლოსათვის, ცოტა ავეჯი და სხვა საოჯახო ნივთები (The Muslim Family 1988:70-71).

ის ასევე დარჩება გამრუდებული. ამიტომ მოექეცით ქალებს კარგად“ (Al-Bukhari 1973:4/346; N. Awde 2000:95). ამ ჰადისში ნათლად ჩანს ქალის ბუნება. ქმარმა ქალი უნდა მიიღოს ისეთი, როგორიც შექმნა ალაპმა.

კანონიერი ქორწინების გვერდით არსებობს დროებითი, ხელშეკრულებით ქორწინება — ნიქაჰ/კალ-მუთა, რომელიც იდება განსაზღვრული დროის მანძილზე (ერთი დღიდან - 99 წლამდე) და ითვალისწინებს ცოლის შენახვას მაპრის ნაცვლად და საზღაურს - ქორწინების დარღვევის დროს. დროებითი ქორწინება ძირითადად დაშვებულია შიიტების მიერ ყურანზე დაყრდნობით. ის გაჩნდა ისლამამდელ არაბეთში საქარავნო ვაჭრობის განვითარების პერიოდში და მის ხანგრძლივობას განსაზღვრული დრო აქვს. ამ დროის გასვლის შემდეგ ქორწინება წყდება გაყრის ფორმალობათა დაცვის გარეშე. კანონიერი ქორწინებისაგან განსხვავებით, დროებითი ქორწინების დროს ქალს არა აქვს კანონიერი ცოლის უფლებები (მაპრი, მემკვიდრეობის მიღება ქმრის სიკვდილის შემდეგ, ცალკე საცხოვრებლის უფლება და სხვ.). დროებითი ქორწინებიდან დაბადებული ბავშვები კანონიერად ცხადდება (W. Daupauta ... 1932:79-92; A. Engineer 1992:114; M. al-Zamakhshari 1861:I/519; Al-Hurr al-'Amili 1385/1965:XIV/446-448; A. Wensinck 1927:145; D. Donaldson 1936:358-364).

ისლამში განქორწინების უპირატესი უფლება აქვს მამაკაცს. ისლამი ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ხელი შეუშალოს განქორწინებას, რადგანაც ყურანში ქორწინება დახასიათებულია, როგორც მტკიცე აღთქმა და მისი უსაფუძვლოდ დარღვევა არ შეიძლება. თუ სხვა გამოსავალი არ არის და ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაა, განქორწინება არ იკრძალება. ისლამი აღიარებს ორივე მეუღლის უფლებას შენყვიტონ ცოლ-ქმრული ურთიერთობა. ისლამი პირველი რელიგიაა მსოფლიოში, რომელმაც სცნო ქალის უფლება გაყრაზე. ეს არის ცოლის აბსოლუტური უფლება და არავის შეუძლია ხელი შეუშალოს მას. ყურანის თანახმად, ქალს აქვს უფლება თვითონ გაითავისუფლოს თავი საქორწინო საჩუქრის უკან დაბრუნებით [2:229], ქმრის თანხმობის შემთხვევაში, და თუ ქმარი არ დათანხმდება გაყრაზე, მაშინ ქალს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. “ტალაკ” — არის განქორწინების ყველაზე გავრცელებული ფორმა ისლამში. ქმარი ათავისუფლებს ცოლს ყოველგვარი ცოლ ქმრული ვალდებულებისაგან გაყრის განსაკუთრებული ფორმულის („ან-თი ტალაკ“, რაც ნიშნავს „თავისუფალი ხარ“) წარმოთქმით.

განქორწინების დროს ქალმა უნდა დაიცვას ‘იდდა — თავშეკავების პერიოდი [3 თვე] და არ უნდა დატოვოს ქმრის სახლი ’იდდას დასრულებამდე. ქვრივებისათვის ‘იდდას პერიოდი იყო 4 თვე და 10 დღე. ’იდდას დასრულების შემდეგ ცოლ-ქმარს შორის განმეორებითი ქორწინება მხოლოდ ჩვეულებრივი წესით (ზავაჯ) ხდება. გაყრის ფორმულის ერთჯერადი წარმოთქმა შეიძლება ანულირებულ იქნეს შერიგებით ‘იდდას დროს. თუ

შერიგება არ მოხდა, ან ფორმულა წარმოთქმულ იქნა ორჯერ, მაშინ ქორნინების აღსადგენად საჭიროა გამოსასყიდი ქმედებები განწმენდის ვადის დაცვით — მარხვის და მოწყალების გაცემით; „ტალაკ“-ის ფორმულის სამჯერ წარმოთქმის შემთხვევაში, ხელმეორედ შეუძლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ქალი სხვაზე გათხოვდება, მერე კი განქორწინდება (ან დაქვრივდება). ეს ქორწინება უნდა მოხდეს მაჰრის გადახდით, ‘იდდას დაცვით და სხვ. ყურანი ურჩევს ქალებს შერიგებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქმარი უხეშად ექცევა ცოლს ან უარყოფს მას. ისლამში დააკანონა მამის უფლება ბავშვებზე (გაყრის შემდეგ ორი წლის ასაკამდე დედამ უნდა გამოკვებოს ბავშვები) (G. Stern 1939:129-140).

ისლამში უარყო მრავალი წინა-ისლამური ჩვეულება ქალის სტატუსთან დაკავშირებით და ეს შეეხო განქორწინების წესსაც. წინა ისლამურ ხანაში ხშირი იყო შემთხვევები, როცა დაქვრივებული მუსლიმი ქალი რჩებოდა საარსებო საშუალებათა გარეშე, რადგანაც არ შეეძლო დაბრუნებულიყო წარმართ ნათესავებთან. ამიტომ გამოცხადებებში, რომლებიც ეხებოდა ქორწინებას და განქორწინებას, არის რეკომენდაციები ქვრივების და გაყრილების უზრუნველსაყოფად. ყოფილ ქმარს გაყრისას ცოლისათვის არ უნდა წაერთმია საქორწინო საჩუქარი, ხოლო ქვრივს უფლება ჰქონდა ესარგებლა ქმრის ქონებით ერთი წლის განმავლობაში და დარჩენილიყო მის სახლში საცხოვრებლად [2:229, 240, 241]. ყურანის 2:240 აიას შესაბამისად: „და თუ რომელიმე თქვენგანი გარდაიცვლება და დატოვებს ცოლებს, მაშინ უნდა უანდერძოთ,<sup>2</sup> რომ ისინი შეინახონ 1 წლის განმავლობაში და არ გააძევონ [თქვენი] სახლიდან, და თუ ისინი დატოვებენ [თქვენს სახლს] მაშინ თქვენზე არ არის ცოდვა იმის გამო, რასაც ისინი მოიმოქმედებენ, წესის შესაბამისად“. გაყრილი ქალისათვის დამატებით განისაზღვრა ძუთა ალ-ტალაკ — კომპენსაცია, საჩუქარი გაყრილი ქალისათვის. გაყრის შემდეგ ქალი კარგავს მემკვიდრეობის უფლებას ქმრის ქონებაზე მისი გარდაცვალების შემთხვევაში (M. at-Tabātabā'ī 1981:65/11-12).

ერთ-ერთი პრინციპული სიახლე ისლამში იყო — ქალის კანონიერი უფლება მემკვიდრეობაზე. ქალს მიენიჭა უფლება ქმრისაგან დამოუკიდებლად განეგო თავისი ქონება და ანდერძით გადაეცა ის. საკუთრების ფლობა ქალის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე მიუთითებდა, რაც, თავის მხრივ, მას განსაზღვრულ ძალაუფლებასაც ანიჭებდა. თუმცა, ყურანით მას განესაზღვრა ორჯერ ნაკლები წილი, ვიდრე მამაკაცს [4:11, 12]. ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ღმერთმა ყველანაირი მატერიალური ვალდებულება მამაკაცს დააკისრა, ქალი კი გათავისუფლებულია ასეთი ვალდებულებებისაგან. რაც ადასტურებს, რომ მამაკაცს უფრო მეტი ქონება სჭირ-

<sup>2</sup> მეორე სურა ადრეული მედინური სურაა. ანდერძი შემდეგ შეიცვალა აიებით მემკვიდრეობაზე, სადაც საუბარია მემკვიდრეობიდან ქვრივის კონკრეტულ წილზე.

დება, ვიდრე ქალს. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ქალი იღებს მემკვიდრეობას, როგორც ცოლი, და, დედა და ქალიშვილი. ხოლო საქორწინო კონტრაქტით ქალი დამატებით იღებს მაჰრს, რომელიც მხოლოდ მისი საკუთრებაა ქორწინების დროსაც და განქორწინების შემთხვევაშიც (M. at-Tabātabā'ī 1981:4/11-12; D. Powers 1982:61-94; L. Ahmed 2003:44-69; F. al-Rāzī 1934-1962: 5/206).

არაბული ბიოგრაფიული უანრის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მუსლიმ სწავლულთა ბიოგრაფიებს, რომელთა შორის არიან ქალებიც. ისინი სწავლობდნენ მეცნიერების ყველა დარგს, მაგრამ განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს რელიგიურ მეცნიერებებში. მამაკაცთა შორის მრავალი ცნობილი მუჰადდისის, ღვთისმეტყველის და სამართლისმცოდნის (მალიქ ბ. ანასი, აშ-შაფი) მასწავლებლები იყვნენ ქალები. მუსლიმური თემის წარმოშობიდან აპასიანთა საზოგადოების ჩათვლით, ყველა საუკუნეში არის დაფიქსირებული ტრადიციონალისტი ქალები. თუმცა ეს არ მიუთითებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ყველა ქალი იყო განათლებული.

აბრაამისტული ერთლმერთიანობის ტრადიცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მორნმუნე ქალის გარეგნულ სახეს. ქალის სხეულის დაფარვა უცხო თვალისაგან, „სწორი ჩაცმა“ ყოველთვის იყო ქალის სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლო. მაგრამ ეს წესი უცხო იყო ისლამადელი არაპებისათვის. ჩადრის [არაბ. ჰიჯაბ] ჩვეულება მუსლიმებთან გავრცელდა მეზობელი ბიზანტიიდან და სპარსეთიდან. ჩადრის ტარება ჯერ ევალებოდათ მუჰამადის ცოლებს, შემდეგ კი თავისუფალ (არამხევალ) მუსლიმ ქალებსაც. ამ წესის ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდა. არ არის ცნობილი, როდის გავრცელდა ის მუსლიმური თემის დანარჩენ ნაწილზე. საფიქრებელია, რომ ამ პრაქტიკის გავრცელებას ხელი შეუწყო მუსლიმთა დაპყრობების შედეგად სიმდიდრის ზრდამ, არაბთა ავტორიტეტის ამაღლებამ და იმ ფაქტმა, რომ მუჰამადის ცოლები მისაბაძი მაგალითი გახდნენ მორნმუნეთათვის (L. Ahmed 2003: 60-64).

ქალების ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის შედგება მთელი რიგი თანმიმდევრული ეტაპებისაგან. ადრეულ ისლამში ქალები თავისუფლად გამოხატავდნენ თავიანთ აზრს და ისინი ეკამათებოდნენ მოციქულსაც კი, რათა დაეცვათ თავიანთი უფლებები. ყურანის 58-ე სურის სათაურია — „ქალი, რომელიც კამათობს“. ქალები მზად იყვნენ დაპირისპირებოდნენ ხალიფასაც კი, თუ ის გადაუხვევდა ისლამურ პრინციპებს. ქალების რჩევას ითვალისწინებდნენ მოციქული და მისი მემკვიდრე ხალიფები. ქალები გასცემდნენ ამანს — სიცოცხლისა და ქონების შეუვალობის პირობას, რომელსაც მუსლიმი აძლევდა მტერს, ჩვეულებრივ არამუსლიმს. ქალები მო-

ნაწილეობდნენ ჯიპადში [საღვთო ომი], ისინი ძირითადად დაჭრილებს უვლიდნენ, საჭმელს და წყალს აწვდიდნენ მეომრებს, საჭიროების შემთხვევაში აქტიურად იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით. შესაბამისად, ისინი იღებდნენ ნადავლის გარკვეულ წილს. არაბთა სახალიფოს ისტორიაში იყო შემთხვევები ქალთა გავლენისა სახელმწიფო საქმეებზე, მაგრამ ეს გავლენა იყო ქმრის ან ვაჟის საშუალებით. უმაიმანთა დროს, როცა ჰარემის სტრუქტურამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო ფართო განვითარება, წყაროებში არა გვაქვს ასეთი ფაქტები. რამდენიმე უმაიმან ქალბატონს დიდი პიროვნული გავლენა ჰქონდა თავის ქმარზე, სხვები კი დიდებას და ბრწყინვალებას მატებდნენ სასახლის კარს. არაბთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებმა — ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, საზოგადოების დიფერენციაციამ არაბთა ექსპანსიის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე, ობიექტური პირობები შექმნა აბასინთა სახალიფოში ისეთი ინსტიტუტების დასამკვიდრებლად, როგორიცაა ჰოლიგამიური ოჯახი, ჩადრი, ჰარემის სტრუქტურა. ამის მიუხედავად, აბასინთა სახალიფოში მრავალი ქალი იყო, რომელიც ჩანდა ტახტის მიღმა. სასახლის კარზე დიდი ძალაუფლება მოიპოვეს მონა-ქალებმა. ისინი ხდებოდნენ ხალიფების ცოლები ან დედები მათი ბავშვებისა და შეეძლოთ ნებისმიერი პიროვნების აღზევება ან დაქვეითება, თუ მოისურვებდნენ. თუმცა საუკუნეების მანძილზე ქალის პოლიტიკური როლი მუსლიმურ სახელმწიფოში ყოველთვის იყო დავისა და განსჯის საგანი.

მუჰამადმა ნება დართო ქალებს მონაწილეობა მიეღოთ მუსლიმური თემის რელიგიურ ცხოვრებაში და ასე გაგრძელდა მის სიცოცხლეში. ისინი დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ მუჰამადის ქადაგებებს, ასრულებდნენ საპარასკევო ღვთისმსახურებას, იღებდნენ რელიგიურ განათლებას. ქალები იცავდნენ მარხვას, დადიოდნენ საპილიგრიმოდ წმინდა ადგილებში, გასცემდნენ მოწყალებას. მუჰამადის გარდაცვალების (632წ.) შემდეგ, ქალების თანდათანობით ჩამოშორება რელიგიური კულტმსახურებიდან, უეჭველია, იყო მათი ჩადრით შემოსვის და იზოლაციის გარკვეული შედეგი. ქალის სტატუსი, ადგილი და როლი იცვლებოდა ისლამის განვითარების შესაბამისად. ყურანის რელიგიურ-სამართლებრივმა მითითებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა IX-X სს.-ში საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლების ჩამოყალიბების შემდეგ.

ბიბლიოგრაფია:

1. N. Abbott, Women and the State in Early Islam; Journal of Near Eastern Studies, vol. 1, No. 1 (Jan., 1942).
2. L. Ahmed, Women and the Advent of Islam; Islam. Critical Concepts in Sociology, vol.III, London and New York, 2003.
3. Al-Ḏurr al-Ḏāmili (1033-1104/1624-93), *Wasa'il al-shia*, Tehran, 1385/1965-66.
4. Muhammad ibn Ismā'īl Al-Bukhārī, The Translation of the Meanings of Sahih al-Bukhari: Arabic-English, trans. Muhammad Muhsin Khan, 9 vol., al-Medina, 1973-1976.
5. W. Daupauta, A Notes on Mut'a or temporary marriage in Islam; Journal of Bombay Branch of the Royal Asiatic Society, 8, 1932.
6. D. Donaldson, Temporary marriage in Iran; Muslim World, 26, no.4, 1936.
7. A. Engineer, The Rights of Women in Islam, London, 1992.
8. A. Hekmat, Women and Koran: the status of women in Islam, Amherst, New York, 1997.
9. Ibn Sa'd, Kitab Tabaqat Al-Kubra (The book of The Major Classes), VIII, Bairut, (n.d.).
10. J. McAuliffe, Chosen of All Women: Mary and Fatima in Qur'anic Exegesis; Islamochristiana, VII, 1981.
11. Al-Mīzān. An Exegesis of the Qur'ān by 'Allāmah as-Sayyid Muhammad Husayn at-Tabātabā'i. Translated by Sayyid Saeed Akhtar Rizvi, Tehran - Iran, 1981 — <http://www.shiasource.com/al-mizan/>.
12. D. Powers, The Islamic Law of Inheritance Reconsidered: A new reading of Q. 4:12B; Studia Islamica, 55, 1982.
13. Fakhr al-Dīn 'Abd Allāh b. Muhammad Al-Rāzī, Mafātīh al-ghaib (Tafsīr al-Kabīr), 1-32, al-Qāhira, 1934-1962.
14. U. Rubin, ፩afīa.; Encyclopaedia of Qur'ān. Jane Dammen McAuliffe, General Editor, Vol., II, E-I. Brill, Leiden-Boston, 2003.
15. G. Stern, The First Women Converts in Early Islam; Islamic Culture, 8, 1939.
16. G. Stern, Marriage in Early Islam. London, 1939.
17. The Muslim Family, Tehran, 1988.
18. A. Wensinck, A Handbook of Early Muhammadan Tradition. Leiden, 1927.
19. Women in Islam. An Anthology from the Qurān and Ḥadīths, Translated and edited by N. Awde, Richmond, Surrey, 2000.  
Mahmūd b. Umar Abū-l-Kāsim al-Zamakhsharī, Al-Kashshaf 'an haqa'iq al-tanzil (Al-Kashshaaf - "the Revealer"), 1-4, Calcutta, 1861.

## حقوق زنان در صدر اسلام

چكىدە:

دكتر نانى گلوانى<sup>3</sup>

برای نظریه پردازان مسلمان همچنین برای سنت گرایان و مدرنیست‌ها دو مشخصه مختلف در زمینه حقوق زن وجود دارد. الف: پشتیبانی از قدیمی ترین مفهوم از نقش زن در جامعه به عنوان مادر و همسر ب: نقش بیولوژیکی و فکری. آنان با توجه به نقش زن سعی در ارائه وضعیت آرمانی از زن داشته و اظهار می‌کنند اسلام نسبت به دیگر ادیان و فرهنگ‌ها به زنان موقعیتی بی‌نظیر اعطای کرده است. مبارزه زنان برای احراق حقوق خود شامل چند مرحله است. در دوره صدر اسلام مطالب زیادی درباره زنان مطرح شده است از جمله مباحث و مناظره‌های مطرح شده از پیامبر (ص) و اصحاب پیامبر. در قرآن حتی برای محافظت از عنوان زن سوره‌ای با نام نساء وارد شده است.

زنان فعالانه از انحراف حاکمان از اجرای اصول اسلامی جلوگیری کردند. اینان همچنین در طول دوره پیامبر و خلفای جانشین او تبادل مشاوره داشتند. زنان در زندگی جامعه مسلمانی و در طول عمر خود حق مشارکت در امور اجتماعی را دریافت کردند که از جمله حضور در مسجد، گفتمان عمومی، خدمات عمومی مثل سفر حج و امور خیریه، شرکت در جهاد، یا سازماندهی مواد غذایی و توزیع آب و غذا در میان سربازان در هنگام جنگ، مراقبت از زخمی‌ها و یا طرق دیگر از این موارد محسوب می‌شود. زنان از سهم قطعی غنیمت در جهاد نیز برخوردار بوده‌اند. اسلام در حقوق زن جزئیاتی را در ادبیات مذهبی مورد بحث قرار داده است. این حقوق (مانند ازدواج، طلاق، ارث، آموزش و پرورش) شاخص مهمی جهت ارزیابی وضعیت زنان در جامعه است. با این همه نقش سیاسی زن در دولت اسلامی طی قرن‌ها، همواره موضوع اختلاف و بحث بوده است. همچنین با توجه به توسعه اسلام وضعیت، جایگاه و نقش زن در جوامع اسلامی دچار تغییر شده است. گشته از این هنجارهای مذهبی پس از تشکیل دانشکده‌های حقوق نیز تغییر کرده است. این مقاله کلیت حقوق زن در صدر اسلام را مورد بحث قرار داده است.

<sup>3</sup> استاد دانشگاه دولتی تفلیس.

**Nani Gelovani**

### **Women's Rights in Early Islam**

Muslim ideologists as well as traditionalists and modernists are characterized by having two different points of view: a) they support the oldest conception of woman's biological and intellectual background and regard her role in society as the one of a mother and a wife b) or they try to idealize the status of a woman and claim that Islam granted women a position which is unknown for other religious and cultural societies.

The women's struggle for their rights consists of several stages. In the early period of Islam women used to express their opinions freely and they even debated with the Prophet in order to protect their rights. The title of the 58<sup>th</sup> Sūra of the Kur'ān – “The woman who disputes”. Women actively opposed to any rulers which, they regarded, were deviating from Islamic principles. Prophet and his successor caliphs took women's advice into consideration.

Muhammad allowed women to participate in the religious life of Muslim community and this was carried out until he was alive. They went to mosque, listened to Muhammad's sermons, participated in Friday prayers, fasted, went on pilgrimages, and gave charity. Women participated in jihad (holy war) either by organizing food and bringing water to the thirsty, taking care of the wounded, thus, playing a crucial part in real fighting whenever it was needed. Consequently, they had the definite share of the booty. Women should grant amān or asylum to enemy refugees. Islam has discussed women's rights in details both in the Kur'ān and in the Muslim religious literature. These rights (such as marriage, divorce, inheritance, education) are an important indicator of women's general status in a society. However, the political role of a woman in Muslim states has been a matter of dispute and discussion through centuries.

The status, place and role of woman in Muslim society were changing in accordance with the development of Islam. The religious-justice norms of Kur'ān changed significantly in the 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries after the formation of the principal law schools.

**Нани Геловани**

### **Права женщины в раннем исламе**

Для мусульманских идеологов, как традиционалистов, так и модернистов, по отношению к женщинам характерны две различные точки зрения: а) они поддерживают устаревшую концепцию биологической и умственной отсталости женщин и видят в женщине только мать и жену, б) или они стараются идеализировать статус женщины и утверждают, что ислам предоставил женщинам такие права, которые не знакомы женщинам любого другого общества.

История борьбы женщины за свои права состоит из ряда последовательных этапов. В раннем исламе женщины свободно выражали свое мнение и они спорили даже с Пророком, чтобы защитить свои права. Заглавие 58-ой суры Корана – «Препирающаяся». Женщины были готовы выступить даже против халифа, если бы он отклонился от исламских принципов. Пророк и его наследники - халифы учитывали советы женщин.

Мухаммед разрешил женщинам принимать участие в религиозной жизни мусульманской общины и так продолжалось пока он был жив. Женщины ходили в мечеть, слушали проповеди Мухаммеда, исполняли пятничное богослужение. Они постились, ходили к святым местам паломничества, отдавали милостыню. Женщины участвовали в джихаде [святой войне], они в основном ухаживали за ранеными, давали пищу и воду бойцам, а в случае надобности активно боролись рядом с мужчинами. Соответственно, они получали определенную часть добычи. Женщины давали аман – обещание неприкосновенности жизни и имущества, которое мусульманин давал врагу, обычно немусульманину. В Коране и мусульманской религиозной литературе определены права женщины, от чего в значительной мере зависит статус женщины в обществе – это право брака, развода, наследования и образования. Однако, в продолжение веков политическая роль женщины в мусульманском государстве всегда была предметом споров и обсуждений.

Статус женщины, место и роль менялись соответственно развитию ислама. Религиозно-правовые указания Корана подверглись значительным изменениям в IX-X вв. после образования богословско-правовых школ.

## ვაჟა გურგენიძე

### ირანის კონსტიტუციონალიზმი და პოლიტიკურ-რელიგიური ინსტიტუტები

თანამედროვე ირანი წარმოადგენს ისლამურ რესპუბლიკას. ქვეყანაში მოქმედებს რეფერენდუმზე მიღებული, რიგით მეორე, კონსტიტუცია. 1979 წლის 2-3 დეკემბერს გამართულ რეფერენდუმზე, მონაწილეთა ხმების დიდი უმრავლესობით ახალი კონსტიტუცია დამტკიცებული იქნა. ირანის ისტორიაში ეს იყო მეორე კონსტიტუცია, რომელმაც პირველი კონსტიტუციის მიღების 74-ე წლის თავზე ამოქმედდა. ირანის უახლეს ისტორიაში ახალი ძირითადი კანონი „ისტორიული კონსტიტუციის“ სახით არის ცნობილი, რომელშიც იქნა შეტანილი დამატებები და შესწორებები 1989 წლის 28 ივნისს. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინის საფუძველზე, რომლის თანახმად ისლამური სახელმწიფო ხელისუფლება გაგებულია, როგორც ერთიანი, და ამავე დროს, როგორც სხვადასხვა სახელისუფლო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ფუნქციების ერთობლიობა, რომელთაც ახორციელებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები და პოლიტიკური ინსტიტუტები, ხოლო ხელისუფლებას კონტროლს უწევს ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ხელმძღვანელი, უხუცესთა საბჭოს მიერ არჩეული ერთ-ერთი იმამი აიათოლა „რაპბარის“ სტატუსით. [პირველი ასეთი ხელმძღვანელი იყო აიათოლა იმამ რუჰილა ხომეინი.]

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების კონტექსტში კონსტიტუციონალიზმის ცნება კონსტიტუციის მიერ ხელისუფლების შეზღუდვასთან და საბოლოოდ სახელმწიფოს სამართალზე დაქვემდებარებასთან არის გაიგივებული.

კონსტიტუციონალიზმის გაგება შეიძლება ორნაირად: 1) ეს არის მმართველობა, შეზღუდული კონსტიტუციით, პოლიტიკური სისტემა (პოლიტიკური ინსტიტუტები) დამყარებული კონსტიტუციაზე, მმართველობის კონსტიტუციური მეთოდები;

2) ეს არის პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია, დოქტრინა, რომელიც ასაბუთებს კონსტიტუციური წყობის დამკვიდრების აუცილებლობას.

ჩვენ ვფიქრობთ, როდესაც იხილება კონსტიტუციონალიზმის ხარისხის, მისი დონეების პრობლემა, უნდა გამოვიყენოთ მისი ორი ტიპი, დასავლური და აღმოსავლური. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებულ იურიდიულ და პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორები, მეცნიერები რატომძაც თავს არიდებენ აღმოსავლური ტიპის კონსტიტუციონალიზმის, როგორც არსებული პრობლემისა განხილვას. ჩვენ კი ვთვლით, რომ ამ საკითხის განხილვა აქტუალურიც არის და მართებულიც. აქედან გა-

მომდინარეა შევეცდებით ირანის ისლამური რესპუბლიკის მაგალითზე დავა-მუშავოთ ეს მნიშვნელოვანი თემა. კონსტიტიცია ხშირად ექცევა საზოგადო-ების რეფორმებისა და მოდერნიზაციის ყურადღების ცენტრში და სწორედ ამიტომ მას სამართლიანად უწოდებენ სახელმწიფოსა და საზოგადოების სა-ვიზიტო ბარათს.

შეიძლება დაისვას შეკითხვა — რამდენად შესაძლებელია, გამართლე-ბულია და მართებული ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციონა-ლიზმის შესახებ სამეცნიერო დონეზე ლაპარაკი ჩვენ დარწმუნებით ვაცხა-დებთ, რომ ეს არის აუცილებელიც, გამართლებულიც და მართებულიც. ამის ძლიერი არგუმენტი არის ის, რომ ირანში არსებობს კონსტიტუციონალიზმის გარკვეული ტრადიცია. მის უახლეს ისტორიაში წარმატებულად მოქმედებ-და და მოქმედებს ორი კონსტიტუცია: 1907 წლის და 1979 წლის კონსტიტუ-ციები. ამის დასადასტურებლად მოგვიწევს ირანის ტერიტორიის არც თუ ისე შორეული წარსულის ანალიზი.


XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან უცხოეთის ქვეყნების პოლიტიკუ-რი, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების პირობებში ყაჯართა ირანში იყო ცდები შუასაუკუნებრივი სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციაში გარკვეული ცვლილებები შეეტანათ.

„დიდი კარის სათათბიროს ინსტრუქციის“ თანახმად, პირველად ირანის სახელმწიფოს ისტორიაში (ევროპის ქვეყნების ნიმუშის მაგალითზე) შეიქმნა უმაღლესი სათათბირო კოლეგია წევრთა კოლექტიური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამასთან, განისაზღვრა სამინისტროების სტრუქტურა და ორ-განიზაციული ფორმები. დაწესდა, რომ განსაზღვრულ დროს დიდი კარის სა-თათბიროს სხდომები გაიმართებოდა სადრ აზამის თავმჯდომარეობით. სა-თათბიროს წევრებად ითვლებოდნენ მინისტრები, უფლისწულები, დიდმოხე-ლენი, სასახლის წარჩინებულნი და გუბერნატორები.

შაპის სასახლესთან არსებობდა განსაკუთრებული კანცელარია, რომე-ლიც სახელმწიფო მეთაურს აკავშირებდა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან. აქ მაღალი თანამდებობის მისაღებად (მათ შო-რის მინისტრის, პროვინციის მმართველის, გადასახადების ამკრეფის და თვით სოფლის მამასახლისის) აუცილებელი იყო ფეშქაში.

XIX საუკუნის ბოლოს ირანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყო-ფის დაახლოებით იგივე წესი არსებობდა, რაც ერთი საუკუნის წინ, ყაჯარე-ბის ხელისუფლებაში მოსვლის დროს იყო. საქვეუწყებო ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებიც თეირანს ემორჩილებოდნენ, პროვინციები და ქვეპ-როვინციები (ბულუქები) წარმოადგენდნენ.

ირანის 1905-1911წელს. რევოლუციის წინ ტრადიციულობის ძალით შაჰის ქვეყნის ერთპიროვნულ, აბსოლუტურ მმართველად ითვლებოდა. ხელისუფ-



ლების ყველა ორგანო და, მაშასადამე, უკლებლივ ყველა ქვეშევრდომი მისი ნების უტრალო ამსრულებელი იყო.

ირანის სახელმწიფო ნუობილება 1907 წლის კონსტიტუციით

ასეთნაირად გამოიყურებოდა ირანის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სისტემა 1907 წლის კონსტიტუციის მიხედვით.

მონარქის ღვთისასწორობის იდეა კიდევ უფრო განმტკიცდა **სასანელთა ეპოქაში**. ეს იდეა ირანში უკანასკნელ პერიოდამდე არსებობს და იგი აისახა ჯერ კიდევ **პირველ კონსტიტუციაში** 1907 წელს, რომლის 35-ე მუხლში **შაჰი ნარმოდეგნილია როგორც „ძე ღვთისა და ძე კაცისა“**. აქვე აღნიშნულია, რომ იგი არის ხალხისათვის ღვთისგან, „ზეგადმოვლენილი წყობა“. შაჰი, რელიგიურ მრჩევლებთან კონსულტაციის შემდეგ, გამოსცემდა ფირმანებს. ეს წესი **XX საუკუნეებიში** შენარჩუნდა.

**XIX-XX** ს.ს. მიჯნა ირანის ისტორიაში მხოლოდ ორი საუკუნის უბრალო შესაყარი არ ყოფილა. მოხდა ძირეული ცვლილებები საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჯხოვრებაში.

1905-1906წნ. გაფიცვებმა და გამოსვლებმა მოიცვა ქვეყანა. ამ სიტუაციით შეშინებულმა შაპხა მოზაფარ ედ-დინმა 1905წ. 5 აგვისტოს გამოსცა ფირმანი მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევის შესახებ. 8 სექტემბრის საარჩევნო კანონის საფუძველზე აირჩიეს მეჯლისის შექმნა ინიციატივის მიერ.

ბრეს შაჰმა დაამტკიცა ქვეყნის ძირითადი კანონი და ამით ირანში სათავე და-ედო პარლამენტურ მმართველობას. 1908 წლის 23 ივნისს დაბობმეს მეჯ-ლისი, რასაც რევოლუციური გამოსვლები მოჰყვა.

XXს. 20-იანი წლებიდან ირანს შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივა. გაფორმდა ინგლის-ირანის ხელშეკრულება, მაგრამ ამავე ეტაპზე იწყება საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობების გაფარ-თოება.

1921 წლის 26 თებერვალს საბჭოთა რუსეთსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება, რასაც მოჰყვა საბჭოთა იდეოლოგის მატარებელი თანამ-დებობის პირების დაწინაურება. ერთ-ერთი იყო რეზა-ხანი, რომელსაც რეს-პუბლიკური მმართველობის დროს პრეზიდენტის სავარძელში თითქოს ვე-რავინ შეეცილებოდა, მაგრამ 1924 წლის მარტში მან ზურგი შეაქცია რესპუ-ლიკური მმართველობის შემოღების მომხრეებს.

1925 წლის 31 ოქტომბერს მეჯლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ყა-ჯართა დინასტია, ხოლო ქვეყნის დროებითი გამგებლობა რეზა ხანს გადაე-ცა. იმავე წლის 12 დეკემბერს მოწვეულ იქნა ქვეყნის პირველი დამფუძნებე-ლი კრება, რომელმაც რეზა ხანი ირანის შაჰად გამოაცხადა. ამ დინასტიას ფე-ლევის დინასტია ეწოდა.

მისი სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობდა კერძო საკუთრების განვი-თარებას და მიწაზე კერძო საკუთრების სამართლებრივ განმტკიცებას. რეზა ხანი ცდილობდა არ გაეღიზონებინა საბჭოთა კავშირი და თითქოს ასრულ-დებდა კიდეც 1921 და 1927 წლებში დადებულ ხელშეკრულებებს, მაგრამ რო-ცა ქვეყანა ფეხზე დადგა, 30-იანი წლებიდან მან ორიენტაცია გერმანიაზე აი-ღო.

მონარქს შემდგომ ეტაპზე გარკვეული ლავირება სჭირდებოდა ხელი-სუფლებაში. 1962 წლის მიწის რეფორმას და ე.წ. „თეთრ რევოლუციას“ საზო-გადოების სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლა მოჰყვა. ეს ახალი სოციალური ძალების ფორმირებას მოასწავებდა, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მმართველობის მონარქიული ფორმის შენარჩუნე-ბა. მაგრამ 60-იანი წლებიდან ირანის სახელმწიფოს ისტორიაში იწყება არატ-რადიციული მმართველობის ფორმის დამკვიდრება.

„ისლამური მმართველობის სისტემის“ ანუ „ისლამური სახელწიფოს“ სტრუქტურული მოდელის თეორიული მოცემულია აიათოლა ხომეინის<sup>1</sup> ნაშ-რომებში, რომელიც 1971 წელს გამოქვეყნდა „ისლამური რესპუბლიკური მმართველობის“ სახელწიფოთ. ისლამურ რესპუბლიკაში ავტორი გულის-

<sup>1</sup> ხომეინი რუხოლა მუსავი — დაიბადა 1898წ., სხვა მონაცემებით 1900 ან 1903წწ. ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელი (აიათოლა — შიიტთა უმაღლესი სასულიერო წოდება) გადასახლებულია 1964წ. ერაყში, ხოლო შემდგომ საფრანგეთში. 1973 წელს (თებერვალი) დაბრუნდა ირანში და სათავეში ჩაუდგა რევოლუციას, რის შედეგად შაჰის რეჟიმი დაეცა. ასე ჩამოყალიბდა ირანის ისლამური რესპუბლიკა.

ხმობდა ფორმით თანამედროვე, შინაარსით ისლამურ დოგმებზე დაფუძნებულ სახელმწიფო მმართველობას, როდესაც ხელისუფლების ორგანოების არჩევითობა შეხამებული იქნებოდა თეოკრატიულ მმართველობასთან.

ქმნიდა რა მომავალი „ისლამური რესპუბლიკის“ მოდელს, ხომეინი გამოჰყოფდა სახელმწიფო ხელისუფლების სამ ორგანოს, რომლებსაც უნდა დაფუძნებოდა ისლამური მმართველობა: **შარიათის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღება, სათათბირო და აღმასრულებელი ჯგუფები.** გადაწყვეტილებათა მიმღებ ჯგუფს საკანონმდებლო ხელისუფლება ანუ დამფუძნებელი კრება წარმოადგენდა, რომელიც გადაწყვეტილებას ფათვის სახით იღებდა. სათათბირო ჯგუფის როლი მეჯლისს ეკისრა, ხოლო აღმასრულებელ ჯგუფში მინისტრთა კაბინეტი იგულისხმებოდა. აიათოლა ხომეინის მოდელში ცალკე არ არის გამოყოფილი სასამართლო ხელისუფლება, ვინაიდან იგულისხმება, რომ მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შარიათის კანონებით, რაც გამორიცხავს საერო სასამართლოების არსებობას.


ირანის რევოლუციის შემდეგ, 1979 წლიდან ჩამოყალიბდა რევოლუციური ხელისუფლების გარკვეული სისტემა რევოლუციური კომიტეტების, „ფასდარების“ რაზმების, რევოლუციური ტრიბუნალების, საბჭოების სახით. საბჭოთა სოციალისტურმა იდეოლოგიამ ირანში მიმდინარე მოვლენებზე ინტერვენციული დაწოლა დაიწყო და შეეცადა რევოლუციის შედეგები საბჭოურ სისტემაში მოექცია. მაგრამ ეს მცდელობა კრახით დამთავრდა.

1979 წ. 30-31 მარტს მოეწყო რეფერენდუმი: მონარქია თუ ისლამური რესპუბლიკა, რეფერენდუმი რევკომების მეშვეობით ჩატარდა. 1 აპრილს ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ახალი კონსტიტუცია კი, რომელშიც ირანის ისლამური რეპუბლიკის სამართლებრივი საფუძვლებია ჩამოყალიბებული, 1979წ. დეკემბრის რეფერენდუმით არის მიღებული და მასში იურიდიულად განმტკიცდა სახელმწიფო წყობილების კლერიკალური ხასიათი. კონსტიტუციამ მონარქიის ავტოკრატიული რეჟიმის ნაცვლად ისლამური ლიდერების ხელმძღვანელობა დააკანონა.

„**ველაიეთ-ე ფაკიპის**“ ანუ თეოკრატიული სახლემწიფო მმართველობის ინსტიტუტი, რომელიც პირველად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაკანონდა, წარმოადგენს „მეთორმეტე იმამის“ ხელახალ გამოცხადებამდე შიოიტური თემის მართვის „ისლამური მმართველობის წესის“ ხომეინისეული კონცეფციის პრაქტიკულად ხორციელდებას. იგი მიზნად ისახავს ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ დამკვიდრებულ ისალმური ნორმების აღორძინებას და მათ საფუძველზე თანამედროვე სახელმწიფოს მართვას. „**ველაიეთ-ე ფაკიპის**“ ინსტიტუტი სახელმწიფოს მართვაში გულისხმობს უმაღლეს თანამდებობის პირის — **რაჰბარის** დაწესებას. კონსტიტუციის მიხედვით მას ხალხი აღიარებს წინამძღვრლად, რომელიც არ გადაუხვევს „ისლამის კეთილშობილური პრინციპისაგან“. იგი სახელმწიფოს მეთაურად და ერთპიროვ-

ნულ მმართველად ითვლება. მაგრამ კონსტიტუცია უშვებს სხვა ვარიანტსაც. როცა ვერცერთი ფავიტი ხალხის საერთო აღიარებას პირადად ვერ მოიპოვებს, იქმნება უმაღლესი კოლეგიური ორგანო — **შურაი-ე რაჰბარი** ანუ 3-5 კაცისაგან შემდგარი ხელმძღვანელი საბჭო.

#### ირანის სახელმწიფო წყობილება 1979 წლის კონსტიტუციით



ამგვარად „ისლამური კონსტიტუციის“ მიღების შემდეგ ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემა. პრაქტიკაში განხორციელდა აიათოლა ხომეინის მიერ შემუშავებული ისლამური რესპუბლიკის წყობილების დამყარების უნიკალური გეგმა.

რაჰბარი სახელმწიფო მართვის ფუნქციების შესრულებაში უშუალოდ ეყრდნობა **სამეთვალყურეო საბჭოს** (შურაი-ე ნეგაჰბან). კონსტიტუციის თანახმად სამეთვალყურეო საბჭო იქმნება „ისლამური ნორმების და ძირითადი კანონის დაცვის მიზნით“, როცა ისლამურ ტრადიციებს შეესაბამებოდეს პარლამენტისაგან მიღებული ყველა კანონი და გადაწყვეტილება. იგი 12 კაცისაგან შედგება. უფლებამოსილების ვადა 6 წელია. პარლამენტი თავის უფლებამოსილებას სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე ვერ განახორციელებს. პარლამენტის ყველა კანონი და დადგენილება სამეთვალყურეო საბჭოს ეგზავნება საბოლოო განხილვა-დამტკიცებისათვის. ეს უკანასკნელი ვალდებულია 10 დღის ვადაში შეისწავლოს თუ რამდენად უპასუხებს მიღებული დოკუმენტი ისლამურ ტრადიციებს, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება აქვს ხელმეორედ განსახილველად პარლამეტს ხელახლა დაუბრუნოს დოკუმენტი. თუ შემდეგშიც სამეთვალყურეო საბჭომ მეჯლისის მიერ მიღებული კანონი ტრადიციებისა და კონსტიტუციის შესატყვისად არ მიიჩნია, მას ვე-

ტოს ადებს, ხოლო თუ კანონი ისლამური განაწესების შესაბამისად სცნო, იგი ძალაში შედის ხელმძღვანელისაგან დამტკიცების შემდეგ. ამგვარად აიათოლა იმამ რუპოლა ხომეინიმ შეიმუშავა, მეცნიერულად ჩამოაყალიბა და პრაქტიკაში განახორციელა “ისლამური მმართველობის პროექტი” [მხედველობაშია აიათოლა ხომეინის წიგნი “ისლამური რესპუბლიკის მმართველობა”, რომელიც გამოიცა ქალაქ ნაჯაფში 1971 წელს].

“ისლამურმა კონსტიტუციამ” ნიადაგი მოამზადა ეფექტური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე – საზოგადოების თითოეული წევრის ასეთი მონაწილეობისათვის, რომ ადამიანის სრულყოფის გზაზე თითოეული მათგანი თავისი თავის სრულყოფილი ბატონ-პარტონი გახდეს. [იხ.: გურგენიძე ვ. პ., გურგენიძე მ. ვ., ურთმელიძე თ. რ. “ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციური სამართალი და პოლიტიკურ-რელიგიური ინსტიტუტები” თბ., 2010, გვ. 41].

“ისლამურ კონსტიტუციაში” აღნიშნული მმართველობის შესახებ წერია : “ეს იქნება დედამიწაზე ჩაგრულთა მმართველობის განხორციელება ..... გვნადს, რომ წყალობა ვუყოთ ამ ქვეყანაზე დაუძლურებულთ, იმამებად ვაქცევთ მათ, მემკვიდრეებად დავადგენთ მათ”. [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, გვ. 11 რომნლიც ციტირებულია ყურანიდან].

ახალი კონსტიტუციით ერთპალატიანი საპარლამენტო მმართველობა იქნა შემოღებული.

კონსტიტუციის თანახმად ირანის რეპუბლიკის **პრეზიდენტი** მეორე საფეხურზე დგას რაპბარის (ხელმძღვანელი) შემდეგ. იგი კოორდინაციას ამყარებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის; ხელს აწერს და მთავრობას შესასრულებლად გადასცემს პარლამენტისაგან მიღებულ ყველა დოკუმენტს; წამოაყენებს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის პოსტზე; ხელს აწერს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებს, კონვენციებს და შეთანხმებებს იმის შემდეგ, რაც მას პარლამენტი დაამტკიცებს; ამტკიცებს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებს და ინსტრუქციებს, ან განმეორებით განხილვისათვის უკან აბრუნებს მათ. თავისი შეხედულებისამებრ, იწვევს მინისტრთა კაბინეტის სხდომებს; გადასცემს და იღებს დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნების სიგელებს; გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქეთა დაჯილდოების შესახებ.

მთავრობას ხელმძღვანელობს **პრემიერ-მინისტრი**. ისევე, როგორც მონარქიული მმართველობის დროს, მინისტრთა კაბინეტი ანგარიშვალდებულია მეჯლისის წინაშე. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა შეირჩევა პრეზიდენტის მიერ. რაპბარი საბოლოოდ ამტკიცებს ამ კანდიდატურას, ხოლო შემდეგ ნდობის ვოტომის საკითხს პარლამენტი განიხილავს.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აღდგენილია შარიათის სასამართლო და იგი გამოცხადებულია მართლმსაჯულების დამოუკიდებელ ორგანოდ,

რომელიც „ისლამური სამართლიანობის საფუძველზე იცავს საზოგადოებისა და პიროვნების უფლებებს“.

სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა უმაღლესი სასამართლო საბჭო (შურაი-ე ალიე-ყაზაი), რომელსაც 5 წლით ირჩევენ. საბჭო 5 წევრისაგან შედგება: თავმჯდომარე, გენერალური პროკურორი და სამი ისლამური კანონის მცოდნე, რომელთაც ქვეყნის მოსამართლეთა შემადგენლობიდან ირჩევენ.

ისლამური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი სასამართლო ორგანოების საქმიანობას უთანხმებს საკანონმდებლო და აღამსრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. იგი სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეებად ნიშნავს სათანადო კომპეტენციის მქონე პირებს, რომელთაც უმაღლესი სასამართლო საბჭო შეარჩევს. მათ საბოლოოდ პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს. მუსლიმური მართლმსაჯულების აღსრულებას კონტროლს უწევს **უმაღლესი სასამართლო** (დივან-ე ალიე ქეშვარ), რომლის თავმჯდომარეს, ისევე როგორც გენერალურ პროკურორს, სახელმწიფოს მეთაური (რაჰბარი) ნიშნავს ხუთი წლის ვადით უმაღლესი სასამართლო საბჭოს რეკომენდაციით. ამ პოსტებზე მხოლოდ უმაღლესი რანგის სასულიერო პირები ინიშნებიან.

სასამართლო პროცესი საჯაროა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განიხილება ოჯახის, ზნეობრივი, ინტიმური ან პიროვნებათა სადაც საქმეები. ლია და დახურული პროცესის მოწყობის საკითხი მომჩივანი და მოპასუხე მხარეების მოთხოვნის საფუძველზე წყდება.

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული ისეთი კანონებისა და დადგენილებების შესრულებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება ისლამურ კანონებს და ტრადიციებს.

ცალკე არსებობს **სამხედო ტრიბუნალი**, რომელიც განიხილავს სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციისა და უანდარმერის თანამშრომლების და ისლამური რევოლუციის „გუშაგთა კორპუსის“ პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულებებს. ტრიბუნალები პოლიტიკურ დანაშაულებასაც იხილავენ. პოლიტიკური დანაშაულის ხასიათს სახელმწიფო „ისლამური ტრადიციების საფუძველზე“ განსაზღვრავს (პოლიტიკურ საქმეებს საერო სასამართლოებიც განიხილავენ). კონსტიტუცია პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნევს ყველა ქმედებას, რომელიც ოფიციალურ რელიგიას და მასზე დაფუძნებულ სახელმწიფო წყობილებას ეწინააღმდეგება. ამგვარად, ჩვენ სრულიად მართებულად მიგვაჩნია პოლიტიკურ და სამართლებრივ მეცნიერების ტერმინთა ბრუნვაში ისეთი ტერმინის შემოღება, როგორიც არის „აღმოსავლური ტიპის კონსტიტუციონალიზმი“. გარდა ამისა, დამტკიცებულად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ირანში ძლიერია კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის ტრადიციები, სადაც ეფექტურად მოქმედებენ პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გვილავა ო. - გვილავა ო. ირანის მთავრობის ცენტრალიზაციის პოლიტიკა და მომთაბარე ტომების პრობლემა. თბ., 1981წ.
2. გურგენიძე ვ. პ., გურგენიძე მ. ვ., ურთმელიძე თ. რ. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციური სამართალი და პოლიტიკურ-რელიგიური ინსტიტუტები. თბ., 2010წ.
3. გურგენიძე ვ. პ., გურგენიძე მ. ვ. თეოკრატიული პოლიტიკური სისტემის სამართლებრივი საფუძვლები. თბ., 2012წ.
4. ჭიპაშვილი გ. - ჭიპაშვილი გ. ირანის სახელმწიფო წყობილება. თბ., 1990წ.
5. Резников А.В. - Резников А.В. Падение шахского режима. М., 1993.
6. Алиев С.М. - Алиев С.М. Разработка и принятие конституции Исламской Республики Иран. М., 1999г.
7. Скляров П.Г. - Скляров П.Г. Становление новых органов власти в иране (1978-1981гг), Сборник «Иран: История и современность». М., 1989г.
8. Mortera Motabari - Mortera Motabari/ The nature of the islamie Revolution. L. 1985.

مشروطیت در ایران و نهادهای سیاسی - مذهبی"  
نویسنده: دکتر واژا گورگانیدزه<sup>2</sup>

این مقاله به بررسی مسائل مربوط به توسعه فرایند مشروطیت در ایران پرداخته است. نویسنده در جزئیات، موضوع نوسازی ایران را مورد بحث قرارداده و نه تنها در زمینه سیاست، بلکه در زمینه قانون اساسی نیز به کند و کاو پرداخته، قانون اساسی ایران را در خلال سال های ۱۹۰۷- ۱۹۷۹ مورد تجزیه و تحلیل قرار داده است. بررسی نهادهای سیاسی و حقوقی و توسعه واقعی مشروطیت در ایران، هدف اصلی این مقاله است.

V.P. Gurgenidze

### Constitutionalism and Political-religious Institutions of Iran

The article presents the discussion to the development of constitutionalism in the Islamic Republic of Iran. The author analyses the theme of Iran modernization not only in the direction of politics, but also in the field of constitutional law. The arguments are base on the analysis of Persian constitutions of 1907 and 1979 years. The article also covers the issues concerning political and juridical institutions of Ankara. The author also makes conclusions about the real development of eastern constitutionalism in Iran.

В. П. Гургенидзе

### Конституционализм и политico-религиозные институты Ирана

В статье рассматриваются вопросы развития конституционализма в исламской республике Иран. Автор подробно освещает тему модернизации Ирана в сфере не только политики но и в сфере конституционного права. Аргументированное изложение темы автор осуществляет на фоне анализа содержания двух: 1907 года и 1979 года конституций Ирана. В статье подробно рассматриваются политические и правовые институты страны, а также делается вывод о реальном развитии восточного типа конституционализма в Иране.

<sup>2</sup> استناد دانشگاه بین المللی قفقاز.

## ვლადიმერ ვახტანგაძე

### რელიგიური ცხოვრება და ოჯახი

თანამედროვე კაცობრიობა მართლაც რომ გამორჩეულია თავისთავადობითა და იმ პრობლემათა მთელი რიგით, რომელმაც ესოდენი გამოვლინება ჰპოვა ჩვენს დროში. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში სადაც ყალიბდება ახლებული ურთიერთობები, არამარტო პიროვნებებსა და ინდივიდებს შორის არამედ კულტურათა, ცივილიზაციათ ერთა თუ რელიგიურ აღმსარებლობათა შორისაც. ტექნოლოგიურმა წინსვლამ ხელი შეუწყო, დროსა და სივრცეში, ადამიანთა შორის ურთიერთობათა კიდევ უფრო მეტ დაახლოებას. ტექნიკურმა პროგრესმა, ერთი შეხედვით დააჩქარა საზოგადოებაში პრობლემების მოგვარება, როგორც ყოფითი ასევე კულტურულ-სოციალური თუ პოლიტიკური, გნებავთ აღმსარებლობითი თვალსაზრისითაც. თანამედროვე ეპოქაში მცხოვრებ ადამინებს აღარ გვიხდება წლებისა და თვეების განმავლობაში მოგზაურობა იმისათვის რომ ერთმანეთს ხმა მივაწვდინოთ.

კომპიუტერულმა პროგრამებმა, თამამად შეიძლება ითქვას, მოშალა საზღვრები ჩვენს პლანეტაზე. აღარ არსებონბს ადამიანისათვის მიუწვდომელი აღარაფერი. დედამინის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, სულ მარტივად შეიძლება ახლობლისა თუ საინტერესო ადამიანის ნახვა.

კაცობრიობის ინტელექტუალურმა განვითარებამ და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა გადალახა ყველანაირი ჩარჩო, ყველანაირი საზღვარი და უფრო მეტიც, ტექნიკური საშუალებებით თვით სამყაროს ყოფითი, მიწიერი ზღვარიც კი გადალახულია. ადამიანი გასცდა დედამინას, გავიდა კოსმოსში, სპეციალური აპარატების საშუალებით თანდათანობით ხდება შესწავლა სხვა პლანეტებისა. ერთი შეხედვით აღარ არსებობს არაფერი რაც ადამიანისათვის, მიუღწეველი იქნება. დღევანდელი ადამიანი ცხოვრობს ტექნოლოგიურ ეპოქაში. ეპოქაში სადაც ყოველი ნაბიჯი, ყოველი ამოსუნთქვა და ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობაც კი თვით ადამიანის მიერ გამოგონილ ტექნიკურ საშუალებებზეა დამოკიდებული.

ამ ყოველივეს, ერთი შეხედვით, ცივილიზებული მსოფლიოსთვის მხოლოდ სიკეთის მოტანა უნდა განეპირობებინა, რაც გარკვეულწილად მოხდა კიდეც, თუმცა მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად სულიერმა პრობლემებმაც იჩინა თავი. ღვთის მიერ ბუნების ნაწილად და უფრო მეტიც, ბუნების გვირგვინად შექმნილი ადამიანი, რომელსაც უნდა ებატონა ყოველივეზე რაც ღმერთმა მისთვის შექმნა, რის მთავრადაც იგი დაადგინა გახდა დამოკიდებული მის მიერვე შექმნილ, სუბსტანციურად არ არსებულ მატერიალურ ნივთზე. მატერიალურზე მიჯაჭვულობა საუკუნეთა მანძილზე აღაშფოთებდა რელიგიურ ცნობიერებას, მორწმუნე საზოგადოებას, საზოგადოების იმ ნაწილს რომელიც აცნობიერებდა რომ უპირველე-

სი და უმთავრესი ადამიანში არის სული. ის სულიერი, მორალური და ზნე-ობრივი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები რომლის სათავეც ყოვლად კეთილი ღმერთია. ასე გრძელდება დღემდე ჭიდილი ორ ძალას შორის. ერთ მხარეს არის ძალა რომელიც ადამიანს პირდება საუკუნო სიხარულს ხოლო მეორე ყოფით წუთიერ კეთილდღეობას, ამქვეყნიურ ბედნიერებას, რის სანაცვლოდაც უმრავლეს შემთხვევაში პიროვნებებისგან მოითხოვს მსხვერპლს და ეს მსხვერპლი ძალზედ დიდია, შეიძლება ითქვას ყველაზე უფრო დიდი რაც შეიძლება გააჩნდეს ადამიანს-მისივე სული.

როდესაც ქვეყნიერების შექმნა დასრულა ღმერთმა, გვირგვინად შესაქმისა დაბადა ადამიანი, რომელიც იქმნა დადგენილი მთელი შექმნილის გამგებლად. თუმცა ნაკლულევანებას სამოთხეში მყოფი ადამიანიც განიცდიდა, მიუხედავად საღმთო ნეტარებისა ადამს აკლდა რაღაც რისი შევსებაც ესოდენ აუცილებელი შეიქმნა უზენაესი ქმნილებისათვის: “და თქვა ღმერთმა არაა კარგი ადამის მარტოობა! შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე” (დაბ: II, 18) არა უბრალოდ შემწე არამედ შესაფერისი, რომელიც გაიზიარებდა ადამის სიხარულს, იმ სიხარულს რომელიც გამოწვეული იყო ღმრთაებრივი დიდების ჭვრეტით. ადამისათვის შემწედ მოვლენილი ქალი უნდა გამხდარიყო მისი ნაწილი, მისი სისრულის სახე. ასე უგალობა ადამია ღმრთის მიერ მისთვის ბოძებულ უმაღლეს ჯილდოს “ეს ძვალი ჩემს ძვალთაგანია, ეს ხორცი ჩემს ხორცთაგანია და ენოდოს მას დედაკაცი რადგან კაცისაგანაა გამოღებული იგი” (დაბ: II, 23) ასე შეიქმნა ღმერთის მიერ პირველი ოჯახი, რომლის მისიაც ღვთაებრივ ნეტარებაში წარმატება და სრულებრივი მოცემული მთელი კაცობრიობისათვის.

დღევანდელ დღეს, ისევე როგორც ყველა დროს, ძალზედ აქტუალურია ოჯახური ცხოვრება და ის პრობლემები რომელიც ასე აწუხებს მსოფლიოში არსებულ არაერთ ოჯახს. ჩვენ ყოველდღე ვხდებით მოწმენი იმისა თუ როგორ ინგრევა ოჯახები, როგორ უბედურდება ასობით და ათასობით ადამიანი, რომელთაც არა აქვთ გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც ოჯახის შექმნასთან არის დაკავშირებული. ხშირია შემთხვევა, როდესაც ორი ადამიანი ქმნის ოჯახს თუმცა ვერ აცნობიერებენ ღვანლსა და სიმძიმეს, რომელიც თან ახლავს ოჯახურ ცხოვრებას. ცოლ-ქმრული ცხოვრება პირველყოვლისა ეს არის ჯვარი, მოვალეობათა მთელი მწყობრი. რომელიც ადამიანმა უნდა ატაროს მთელი ცხოვრების მანძილზე. რჯულისმიერი ოჯახი როგორც საღმრთო კურთხევის აღსრულება არის ერთერთი უმთავრესი და ფაქიზი საკითხი, ქრისტიანთა ყოველდღიურ ყოფაში. მეუღლები, მოციქულ პავლეს თქმით ერთმანეთს “თანადებსა პატივსა მისცემდენ” რადგან ეს საიდუმლოებითი ერთობა, რომელიც ორი პიროვნების ერთ სხეულში დაურღვეველი მთლიანობის სახე. ღვთაებრივი პავლეს სწავლებით მამაკაცისა და ქალის ერთობა არის დაურღვეველი სიმრთელე რომლის შემაკავშირებელიც არის ღმერთი. მოცი-

ქულის თქმით ქორწინებულებს ღვთისაგან აქვთ ნაპრძანები საუკუნოვანი ერთობა, ერთობა რომელიც აღესრულება ქრისტეს წმინდა წიაღში.

მატერიალური ყოფით შეჭირვება ხშირ შემთხვევაში არის ერთ-ერთი საბაბი, ოჯახების ნგრევისა, მაგრამ ამასთან ერთად და უმთავრესად ღვთისადმი უნდობლობა, ღვთის ურნებულობა არის ყველა უბედურების სათავე. თანამედროვე ეპოქაში იზრდება მოთხოვნილებები, მიწიერი ყოფისათვის საჭირო ვალდებულებები ერთი ორად ფართოვდება, მაგრამ რაც უცვლელი რჩება პროვენებაში არის ადამიანის შინაგანი დამოკიდებულება წარუვალ ღირებულებებისადმი.

პავლე მოციქულის სწავლებით, იმ შემთხვევაში თუ კი ქმარი ან ცოლი ურწმუნოა მეუღლებ უნდა იტვირთოს იგი, აღმსარებლობითი გულჩინობა არ არის საბაბი ოჯახების ნგრევისა რადგან ოჯახი არის უმაღლესი მონაპოვარი ადამიანის ცხოვრებაში. მოციქულისვე თქმით თუ კი ქმარს ურწმუნო ცოლი ეყოლება არ უნდა გაშორდეს და პირიქით. რადგან მორწმუნე მეუღლესთან თანაცხოვრება შესაძლებელია გახდეს ადამიანის გადარჩენის და მარადიული სიცოცხლის საწინდარი.

ქრისტიანთა ცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიჭვნელობა ენიჭება ოჯახის შექმნის იმ ტრადიციას რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა. წმინდა ბასილი დიდი თავის 38-ე კანონში ბრძანებს: “მამის ნებართვის გარეშე გათხოვილი ქალები სიძვის ცოდვაში არიან, თუმცა მშობლებთან შერიგების შემდეგ ვფიქრობ ვითარება განკურნებადია. [დიდი სჯულის კანონი თბ 1987 გვ. 413] ეს კანონი მთლიანად ეფუძნება იმ ურთიერთობებს რომელსაც ბუნება და სალმთო რჯული განსაზღვრავდა საუკუნეთა განმავლობაში მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის კუთხით. თვითონ ის ფაქტი, რომ ეკლესიის ბურჯი, ბასილი კესარიელი სიძვის ტოლფას შეფასებას აძლევს მშობლებთან შეუთანხმებელ ქორწინებს ცხადყოფს და ასაჩინოებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ჟამს მშობლების ნებართვას. ადრეულ საუუკნეებში ქრისტიანებს ქორწინებისათვის ნებართვა უთუოდ ეპისკოპოსისაგან უნდა მიეღოთ. მოციქულთა სწავლება ცოლისა და ქმრის მოვალეობათა შესახებ ადასტურებს თუ რამხელა პატივს სცემდნენ ისინი ამ საიდუმლოს. წარმართებისგან განსხვავებით, სადაც ქორწინება ნაკლებად პატივსაცემი იყო. ქრისტიანებს ეკლესიის მიერ კურთხეულ საქორწინო კავშირი ქრისტეს ეკლესიასთან მარადიული კავშირის სახედ მიაჩნდათ. ცოლ-ქმარს ერთობით უნდა ემსახურათ ღვთისა და ერთმანეთისათვის და ურთიერთს ქრისტეს წმინდა მცნებათა აღსრულებაში დახმარებოდნენ. ეს ურთიერთვალდებულებები მარადიულია რადგან სათავეს ღვთის მცნებებიდან იღებს. საღმრთო კურთხევის წარუვალობა და მარადიულობა არის დღესაც განპირობებული დაურღვეველი ერთობისა. იმ რწმენის საფუძველზე, რომ მიწიერი ცხოვრება მხოლოდ დასაწყისია მარადიულისა და მისთვის მზადებაა, ნებისმიერი სახის

ოჯახურმა მხოლოდ ურთიერთობამ და მოვალეობამ ქრისტიანულ ზნეობაში ახალი, უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ქრისტეს მცნებებით მაცხოვრებელი საზოგადოება დრესაც გულწრფელად აღასრულებს უფლის მცნებას: “შეიყვარეთ ერთმანეთი ისე როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ.” და ეს სიყვარული პირველ ყოვლისა მოვარუ ურთიერთობებში ისხამს ხორცს, იძენს ცხოველმყოფელობის ძალას, იმ ძალას რომელიც არის საბოლოოდ მიმყვანებელი მარადიულ სიცოცხლეში. კაცობრიობის არსებობის ყველა ეპოქაში ერთერთი ყველაზე უფრო მტკიცნეული საკითხავი იყო და რჩება, ის ადამიანური ურთიერთობები რომელიც ყალიბდება პიროვნებათა შორის. ეს პრობლემა კიდევ უფრო მძლავრად იჩენს თავს ორი ადამიანის “ერთ სხეულში შეერთების” პირველწამიდანვე არა იშვიათად ადამიანის სულში აღძრული შფოთი, რომელიც თავად ამ პიროვნების სრულყოფის გზაზე სვლის დაბრკოლების უპირველესი პრობლემაა, გამოვლინებას ჰქოვებს მასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი ადამიანის წინააღმდეგ. თანამედროვე ყოფაში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობები კიდევ უფრო სხვა კუთხით იხილვება, კიდევ ეს იყო წარსულ ეპოქაში, თუმცა რაც უცვლელი უნდა დარჩეს არის საღმრთო სწავლება, ბიბლიური ჭეშმარიტება, რომელიც ცოლქმრული ვალდებულებებისა და უძლეველი ოჯახური ერთობის საწინდარია. მოციქულთა წერილებისა და ბიბლიის წიგნების მოწოდებათა კვალდაკვალ ვნახოთ ის ურთიერთვალდებულებები რომელიც ცოლქმარს ერთმანეთისა და შესაბამისად საზოგადოების წინაშე აკისრიათ. საღვთო სწავლებით ამ ურთიერთობებში განსაკუთრებულია ქალის ადგილი, განუსაზღვრელად დიდია მისი როლი მტკიცე მოვარუ ყოფის თვალსაზრისით. ქალის უმანკოება და სიწმინდე (ისევე როგორც მამაკაცისა) არის მტკიცე საფუძველი ძლიერი ოჯახისა, პავლე მოციქულის თქმით “ცოლსა ქმარი იგი თანანადებსა პატივსა მისცემდინ ვითარცა ცოლქმარსა” (კორ. 7.3) იგივე მოციქული თავის მოზაფეს, ტიტეს მოუწოდებს: “რაიტა განაპხნობდენ ჭაბუკათა მათ ქმართმოყვარეყოფად.” (ტიტ. II.4) ცოლების ქმრებისადმი მორჩილების შესახებაც გვასწავლის პავლე “ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა იგი სათნო არს უფლისა,” მაგრამ ამასთანავე მოუწოდებს მამაკაცებსაც “ქმართა გიყვარდედ ცოლნი თვისი და ნუ განპმნარდებით მათ მიმარტ” (კოლ.3.18,19) მორწმუნე ქალის საქციელი შესაძლებელია დიდწილად გახდეს მაგალითის მიმცემი ურწმუნო ქმრისთვის, მისმა ღვთივსათნო მორჩილებამ შეიძლება წმინდა წერილს ვერ მცნობელი კაცი ჭეშმარისკების გზისკენ მოაქციოს “... ცოლები დაემორჩილონ თავიანთ ქმრებს, რათა ისინი ვინც არ ერწმუნებიან სიტყუას, სიტყვის გარეშეგახდნენ მოგებულნი თავიანთი ცოლების საქციელით.” (I პეტრ.3,1)

ქალის სულიერი სინატიფე და მშვენიერება დაუსახავს პეტრე მოციქულს ოჯახური ბედნიერების წყაროდ, ქალის სულის სიღრმე და სიწმინდე უთქვამს ოჯახის ძლიერებად: “თქვენი მშვენება ნუ იქნება გარეგნობა –

მოუწოდებს მანდილოსნებს, თმის ნაწნავები ოქროს სამკაულები ან ჩაც-მულობა, არამედ გულის დაფარული კაცი უხრნელ მყუდორებაში და სულის სიმშვიდეში რაც ძვირფასია ღვთის წინაშე. ღვთის მოსავი წმინდა ქალებიც ოდესლაც ასე იმკობდნენ თავს, თავიანთ ქმრებს დამორჩილებულნი, როგორც სარა დაემორჩილა და ბატონი უწოდა ბრამს, რომლის შვილებიც ხართ როცა კეთილ საქმეებს აკეთებთ და ართოს შიში არ გაკრთობთ” (I პეტ. 3,3-7) როგორც ყოველთვის აქაც წმინდა წერილი არა მარტო მანდილოსნებს არამედ მათ მეუღლებსაც შეაგონებს რათა არანაირი მიკერძოება ან თვალნებით, ცალმხრივი გამოვლინება ჰპოვოს საღმრთო მოძღვრებამ: “თქვენც ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უუძლურეს ჭურჭელს, პატივი ეცით როგორც სოცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ.” (I პეტ. 3,5 - 7)

